წელიწადი მეოთხე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 22 იანვარი 1928 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 53

## ჟურნალის შინაარსი

უდიდესი ბელადის ხსოვნას — მეთაური; ნ. ჟორდანიასა და რამიშვილის პოლემიკის გამო — **ყარიბი**; მუშებზე შეტევის ახალი მეთოდი — **კ. ჭეიშვილი**; სისხლიანი კვირა — ლექსი — **ნ. ზომლეთელი**; სესხი საგლეხო მეურნეობის განსავითარებლად — **მეურნე**; ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ — **ლეო შენგელაია**; საგარეო ვაჭრობის საკითხები—**ი. ნარსია**; რა იყო და რა არის—**ა. ჩაჩუა**; მორიგი ამოცანები — **ნ. ჯულელი**; თბილისის აღმასკომის მუშაობა—**შ. გომართელი**; ეროვნულ თეატრის აღორძინება.— **ვახტანგ გარრიკი**; პლეხანოვის სახელობის თეატრში — **ლ. კუპრაშვილი**.

# უდიდესი ბელადის ხსოვნას

კაპიტალიზმის განვითარებამ კაცობრიობა გაჰყო ორ უმთავრეს მოპირდაპირე ძალათ. ერთ მხარეზე სდგას სხვისი შრომით ყოველ მხრივ უზრუნველყოფილი, გარყვნილების მორევში ჩაფლული ბურჟუაზია, რომლის ხელშია საწარმოო საშუალებანი, ხოლო მეორე მხრივ მუშათა კლასი, რომლის არსებობის ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენს დაქირავებული შრომა, ყოველდღიური მუშაობა ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ამ ორ კლასთა შორის შეთანხმება, მათ შორის ნორმალური დამოკიდებულება ყოვლად შეუძლებელია. ადრე თუ გვიან მეორემ უნდა გაიმარჯვოს პირველზე, მუშათა კლასმა უნდა დაამარცხოს თავისი მოპირდაპირე —ბურჟუაზია, მოსპოს კაპიტალისტური წყობილება და მთელ მსოფლიოში დაამყაროს მშრომელთა ბატონობა —კომუნიზმი, სადაც აღარ იქნებიან არც მჩაგვრელები და არც დაჩაგრულები, არც მყვლეფელები და არც გაყვლეფილები.

ამ ორ მოპირდაპირე კლასის გარდა არსებობს კიდევ მესამე ძალა—გლეხობა, რომელიც რიცხვობრივად მრავალ ქვეყნებში ჯერ კიდევ გაცილებით სჭარბობენ მუშათა კლასს, მაგრამ მათი როლი კაპიტალიზმის მოსპობაში უფრო ნაკლებია, ვინემ პროლეტარიატის.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან და ნაწილობრივ კიდევ უფრო ადრეც, მუშათა კლასის „გასაბედნიერებლად“ ბევრი მოამაგენი გამოვიდენ ისტორიის ავანსცენაზე. ზოგი მათგანი ბურჟუაზიას ურჩევდა თავიანთი ფაბრიკა-ქარხნები გადაეცათ მუშების გამგებლობაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ბურჟუაზიული წყობილების მოსპობას ფიქრობდენ მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით. მათი მიზანი იყო კაპიტალისტურ წარმოების გვერდით გაეჩაღებიათ კოოპერაცია და ამ გზით ფიქრობდენ კაპიტალიზმის დამარცხებას. ამ მიმდინარეობამ განსაკუთრებით იჩინა თავი ინგლისში. სამაგიეროდ საფრანგეთის რევოლიუციონერი ბლანკი ფიქრობდა მტკიცედ შეკავშირებულ რევოლიუციონურ ჯგუფების საშუალებით ხელში ჩაეგდო სახელმწიფო ძალა უფლება და შემდეგ ზევიდან ერთგვარი ბრძანების საშუალებით, მასების მონაწილეობის გარეშე განეხორციელებია სოციალიზმი.

მუშათა კლასის ეს მოამაგენი, ე. წ. უტოპისტ-სოციალისტები არავითარ ანგარიშს არ უწევდენ თვით გაყვლეფილთა კლასის მონაწილეობას თავის განთავისუფლების საქმეში. ისინი არ სცნობდენ საჭიროდ მათ დარაზმვას, ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას მომავალი გადამჭრელი ბრძოლებისათვის შრომასა და კაპიტალს შორის.

ამ უტოპიურ მიმდინარეობას თავის დროზე ფარდა ფარდა ახადა მარქს-ენგელსის მეცნიერულმა გამოსვლებმა. დასახელებულმა მეცნიერებმა მუშათა კლასს მისცეს გარკვეული გეზი კაპიტალიზმთან საბრძოლველად. მეცნიერული სოციალიზმი, აი, რა დაედვა შემდეგში საფუძვლად მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს.

ვის უნდა ეკისრა ეს მძიმე მოვალეობა?

რა თქმა უნდა თვით მუშათა კლასს, რომელსაც ესაჭიროებოდა ხელმძღვანელი, და ასეთი ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიებს, რომლებიც იმ დროს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში ჩამოყალიბდა.

თავის მხრივ ეს პარტიები გაერთიანებულნი იყვნენ ჯერ პირველ ინტერნაციონალში და მისი დაშლის შემდეგ კი დაარსდა მეორე ინტერნაციონალი.

მსოფლიო ომის დაწყებამდე სოციალ-დემოკრატების პროგრამა და ტაქტიკა სწორად გამოხატავდა მუშათა კლასის ინტერესებს და სოციალიზმის განხორციელებას უკავშირებდა სამოქალაქო ომს და პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ ამ ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე მსოფლიო სოციალ-დემოკრატიამ მყისვე დაივიწყა მარქს-ენგელსის უმთავრესი დებულებანი და აშკარად გადაბარგდენ ბურჟუაზიის ბანაკში. ნაცვლად იმისა, რომ პროლეტარიატისათვის ერჩიათ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა, ამ პარტიების ლიდერებმა პირველ რიგში სამშობლოს დაცვის ლოზუ-

ნგი გადმოისროლეს, მუშათა კლასს ფრონტებზე წასვლისათვის მოუწოდეს და პარლამენტებში კი ხმას აძლევდენ სამხედრო ბიუჯეტს. მაშინ ვიღას ახსოვდა ინტერნაციონალური სოლიდარობის საჭიროება. აი, სწორედ ამ დროს მოკვდა მეორე ინტერნაციონალი ბუნებრივი სიკვდილით და მსოფლიო ბურჟუაზია თავის გამარჯვებას ზეიმობდა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა სოციალიზმი საბოლოოდ დამარცხებულად გამოაცხადეს, მაგრამ მათი მოლოდინი დიდი ხანი არ გამართლდა.

მსოფლიო სოციალ-დემოკრატიაში აღმოჩნდა პატარა, მაგრამ უაღრესად დიდი იმედებით და მორალური ძალით აღჭურვილი ჯგუფი, რომელსაც არ დაუკარგავს იმედი მუშათა კლასის სიძლიერეში და ამ ჯგუფმა, რომლის უდიდესი ბელადი და ხელმძღვანელი ამხ. **ლენინი** იყო, მედგრად აღიმაღლა ხმა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ და მუშათა [illegible] ხმოუწოდა იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად ექცია.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. **ლენინი** ჯერ კიდევ 1903 წ., როდესაც რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობა გაიმართა ლონდონში, მედგრად შეებრძოლა ყრილობაზე გაბატონებულ ოპორტუნისტულ მიმდინარეობას და რუსეთის მომავალ რევოლიუციისათვის დასახა სრულიად განსხვავებული გზა, ვინემ მაშინდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების უმრავლესობას ჰქონდა წარმოდგენილი. ამ ყრილობაზე საბოლოოდ ჩაისახა რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში ორი მიმდინარეობა, რომელიც შემდეგში ჩამოყალიბდა ბოლშევიზმისა და მენშევიზმის სახით.

ლონდონის ყრილობის შემდეგ ბევრჯერ იყო ცდა ამ ორი ფრაქციის გასაერთიანებლად, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო შეუძლებელი ხდებოდა მათი გაერთიანება.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატიის ერთმა ჯგუფმა ამხ. ლენინის მეთაურობით მედგრად აღიმაღლა ხმა მსოფლიო ომის წინააღმდეგ და ამ მოწოდებამ მალე გამოიღო შესაფერი ნაყოფი. მთელ რიგ ქვეყნებში იფეთქა რევოლიუციებმა, მაგრამ მარტო ეს როდი კმაროდა, საჭირო იყო რევოლიუციას მიეღო სოციალისტური სახე, შესაძლებელი გამხდარიყო კაპიტალიზმის დანგრევა და მის ნანგრევებზე სოციალისტური წყობილების დამკვიდრება.

ამ დიდი მიზნისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, მას შემდეგ, რაც მათ თავის უმთავრეს ლოზუნგათ მსოფლიო ომის დროს სამშობლოს დაცვა წამოაყენეს, ვეღარ გამოდგებოდენ და აი, ამხ. **ლენინმა** მისი ემიგრაციიდან დაბრუნებისთანავე სოც.-დემოკრატიული პარტია ძირომპალად აღიარა და საჭიროდ სცნო კომუნისტური პარტიის დაარსება. ამასთან ერთად მან წამოისროლა ლოზუნგი: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“!

ამ ლოზუნგმა დააფრთხო არა მარტო ბურჟუაზიული პარტიები, არამედ ეგრედ-წოდებული „სოციალისტებიც“ რომლებიც რუსეთის რევოლიუციას სახავდენ, როგორც წმინდა ბურჟუაზიულს, რასაც ფართე გასაქანი უნდა მიეცა ბურჟუაზიული წყობილების განვითარებისათვის და დაემკვიდრებია პარლამენტარული რეჟიმი.

ახლად ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია, ამხ. **ლენინის** მეთაურობით სასტიკად შეებრძოლა „სოციალისტური“ პარტიების ამ გამცემლობას და მისმა თავდადებულმა ბრძოლამ სულ მალე გამოიღო შესაფერი ნაყოფი. მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა, რომლებიც განიცდიდენ აუტანელ გაჭირვებას ხანგრძლივი ომის გამო, დაირაზმენ კომუნისტური დროშის ქვეშ. თებერვლის რევოლიუციის ცხრა თვის შემდეგ, 25 ოქტომბერს განდევნეს კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა, გამოაცხადეს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დიქტატურა და მთელი ძალა-უფლება გადაეცა საბჭოებს.

ეს იყო უდიდესი აქტი კაცობრიობის ისტორიაში და ამ აქტის უშუალო ხელმძღვანელი იყო ამხ. **ლენინი.**

ოქტომბრის რევოლიუციამ ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვა საბჭოთა წყობილებას როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფრონტებზე.

კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ხელისუფლებამ უკვე იდღესასწაულეს ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ათი წლის თავი.

რა საშუალებებით მიაღწია ოქტომბრის რევოლიუციამ უდიდეს გამარჯვებას?

აქ გადამჭრელ როლს ამხ. **ლენინის** უდიდესი გენია და შორსმჭვრეტელობა თამაშობდა.

თუ მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს სოციალიზმის განხორციელების გზები, ლენინს წილად ხვდა მისი პრაქტიკულად განხორციელება და ისიც უძნელეს პირობებში, ომისაგან განაწამებ და ეკონომიურად უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყანაში. აქ საჭირო იყო ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების გამონახვა, რომელიც უზრუნველყოფდა დაწყებულ სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებას. ასეთად კი შეიძლებოდა ყოფილიყო გლეხების ფართო ფენების გადმობირება რევოლიუციის მხარეზე და ეროვნული საკითხის თვითმპყრობელობის მიერ დაჩაგრულ ერების სასარგებლოდ გადაჭრა.

რევოლიუციის სასარგებლოდ გლეხობის ამოძრავება **ლენინმა** შესძლო აგრარული საკითხის საუკეთესოდ გადაჭრის საშუალებით. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, არც ერთ პარტიას ის არ გადაუჭრია ისე, როგორც კომუნისტურმა პარტიამ. **ლენინმა** იმ თავიდანვე გადმოისროლა ლოზუნგი დაჩაგრული ერთა თვითგამორკვევის შესახებ სრულ გამოყოფამდე და ამ ლოზუნგმა უაღრესი თანაგრძნობა გამოიწვია ჩაგრულ ერთა შორის.

შემდეგში ეს ლოზუნგი პრაქტიკულად იქნა განხორციელებული და თვითეულ ერს მიეცა საშუალება თვითონვე გადაეჭრა საკითხი, თუ როგორ დამოკიდებულებაში იქნებოდა ის დანარჩენ მოძმე ერებათნ. ეროვნულ საკითხის ასეთმა მოგვარებამ მთლიანად აღმოფხვრა ერთა შორის ის ისტორიული შუღლი და მტრობა, რომელსაც თვითმპყრობელობის დროს ჰქონდა ადგილი და რასაც თვითონვე უწყობდა ხელს თვითმპყრობელური რეჟიმი.

ასეთივე დიდი მნიშვნელობის საკითხი იყო ე. წ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება, რაც ამხ. **ლენინის** უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა. ამ პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი სასოფლო მეურნეობის განვითარებას და ძალზე გაადიდა მისი პროდუქცია. ამავე დროს გლეხობას საშუალება მისცა თავისი ნაწარმოები თავისუფლად მიეყიდა კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის მტრებს იმედი ქონდათ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით გადაგვარდებოდა საბჭ. ხელისუფლება, რომ ის დამარცხდებოდა. მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ ე. წ. ბრძანებელი სიმაღლეები ხელისუფლების გამგებლობაში იმყოფებოდა, რომელსაც შეეძლო მიმართულება მიეცა ახალი ეკონომიური პოლიტიკისათვის და წარემართა ის მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. მტრების იმედები არ გამართლდა. „ნეპმა“ არა თუ დაასუსტა საბჭოთა წყობილება, არამედ კიდევ უფრო გააჯანსაღა ის.

ასეთია ის სამი უმთავრესი პირობა, რამაც გამარჯვება არგუნა ოქტომბრის რევოლიუციას, რომლის შემქმნელი და ხელმძღვანელი იყო ამხ. **ლენინი**

დღეს 4 წელი შესრულდა **ლენინის** გარდაცვალებიდან და ამ ხნის განმავლობაში მის მიერ დაწყებულ საქმეს ხელმძღვანელობს მის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში გაერთიანებულია 1.200.000 წევრი. ამ ფოლადისებური პარტიის მანათობელი ვარსკვლავი—**ლენინიზმია.**

მიუხედავად ბელადის გარდაცვალებისა, კომუნისტური პარტია ბრწყინვალეთ ხელმძღვანელობს სოციალისტური მშენებლობის საქმეს და მიყავს ქვეყანა საბოლოო გამარჯვებისაკენ. მუშაობის ამ უძნელეს გზე-

გზე მას ხვდება აუარებელი დაბრკოლებანი, ადგილი აქვს ზოგიერთ ყოფილ ლიდერების შორის მერყეობას. და მათ მენშევიზმის გზაზე დაქანებას, მაგრამ იმ მიღწევების შემდეგ, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციას აქვს თავისი არსებობის მე-11 წელში ვარავითარი დაბრკოლება ვერ შეუშლის ხელს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებას და ეს იქნება საუკეთესო საწინდარი უდიდესი ბელადის უკვდავი ხსოვნისათვის. ეს რწმენა კი სავსებით დაამტკიცა ამასწინად დამთავრებულმა საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის ერთსულოვანმა მუშაობამ.

დღეს ლენინი გარდაცვალების ოთხი წლის თავია. აღარა გვყავს მსოფლიო პროლეტარიატის უმაგალითო ბელადი **ლენინი**, მაგრამ გვაქვს მისი უდიდესი ქმნილება. გვაქვს **ლენინიზმი**.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს წიაღმყვანებელ **ლენინიზმს!**

# ნ. ჟორდანიასა და აბრამოვიჩის პოლემიკის გამო

## I.

ჟორდანია-რამიშვილის „სადირექტივო წერილებს“, რომლებიც მათ გამოუგზავნეს თასუ კლბთ კლბთრბთრლ ქართველ ამხანაგებს ვანო ქარცივაძის ხელით და რომლებსაც დაწვრილებით გაეცნენ ქართველი მკითხველები, ფართეთ გამოეხმაურა რუსი ემიგრანტების პრესა. ეს წერილები დაგმეს რუსეთის ყველა ყოფილების „აქტივისტების“ ორგანოებმა.

ამ ორგანოების დედა აზრი ერთი და იგივე იყო:

— თქვენ გსურთ საქართველო რუსეთს ჩამოაცილოთ? ვერ მოგართვით! საქართველო რუსის ხალხის სისხლით და ოფლით არის მოპოებული. საქართველოს უმისოთ რუსეთს არ გაეძლება. უმისოთ ის ვერ შესძლებს თავისი ისტორიული მისიის განხორციელებას. თუ არა საქართველოს გზით, ის ვერ იპოვნის გასაქანს ვერც აღმოსავლეთისაკენ, ვერც სამხრეთისაკენ... მართალია, ჩვენ ვებრძვით კომუნისტებს და მათ საბჭოთა წყობილებას, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ვისმეს რუსეთის მთლიანობის დარღვევის უფლებას მივსცემთ. ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით შევებრძოლებით რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ერების სეპარატიულ ლტოლვილებას და კიდევ უფრო შევებრძოლებით საქართველოს ასეთ ლტოლვილებას.

აი მთელი შინაარსი ემიგრანტი რუსის „აქტივისტების“ პრესისა ამ საგანზე.

ჩვენ უამისოთაც ვიცოდით, რომ ეს პრესა ასე შეხვდავდა საკითხს. მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო იყო, თუ რას იტყოდა, როგორ შეხვდებოდა ჟორდანია-რამიშვილის ახალი ავანტიურის ცდას რ. ს.-დ. პარტიის პრესა, რას იტყოდენ ამ პარტიის ვესტალკები, აი ისინი, ევროპაში რომ არიან სამშვიდობოზე გახიზნული და იქ ევროპის ბურჟუაზიის საფარველ ქვეშ რომ ცდილობენ რუსეთში სამუდამოთ ჩამქრალი მათი პარტიის ცეცხლის ხელახლა აგიზგიზებას... ჩვენ გვაინტერესებდა თუ რას იტყოდა ამ საგანზე რუსეთის დიდი რევოლიუციის დეზერტირების ორგანო: „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“-ი.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდა. ეს ჟურნალი მალე გამოეხმაურა ჟორდანია-რამიშვილის „სადირექტივო წერილებს“ და წარსული წლის 20 ივლისის თარიღით თავის ფურცლებზე დაბეჭდა აბრამოვიჩის მოზრდილი წერილი: «Опасный путь».

როგორც წერილის სათაურიდან სჩანს, აბრამოვიჩი ჰგმობს ჟორდანია-რამიშვილის წერილებში გამოთქმულ აზრებს, ჰგმობს მებრძოლი მენშევიზმის ტაქტიკას და ურჩევს მათ ხელი აიღონ ამ ყოვლად სახიფათო ავანტიურაზე, დასტოვონ კომუნისტების წინააღმდეგ აჯანყების გზა და მიიღონ რ. ს.-დ. პარტიის ტაქტიკა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „ქართველი ხალხის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთში და საზღვარგარეთ გაიმარჯვებს დემოკრატიული მუშათა კლასი“.

აბრამოვიჩის ამ წერილს ჩვენ თავის დროზე გავაცანით „ახალი გზის“ მკითხველები. და თუ მასზე დღეს ხელ-ახლა გვიხდება შეჩერება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აბრამოვიჩის ამ წერილს იმავე „ს. ვ“.-ში პასუხი გასცა ნ. ჟორდანიამ, რომლის წერილსაც თან ახლავს აბრამოვიჩის პასუხიც. ორივე ავტორების საპოლემიკო წერილები დაბეჭდილია წარსული წლის „ს. ვ“.-ის 20 აგვისტოს ნომერში.

ვინც „ახალი გზის“ 51 და 52 ნომერში ირაკლი წერეთელსა და ჟორდანიას შორის წარმოებულ პოლემიკის შინაარსს გაეცნო, მისთვის არსებითად არაფერი არ არის ახალი ჟორდანიასა და აბრამოვიჩის პოლემიკაშიც. ჟორდანია ანვითარებს და იცავს იმავე დებულებებს, რომლებსაც ის წერეთელს უყენებს: აბრამოვიჩი იცავს იმავე პოზიციას, რომელზეც შვიდი წლის ქანაობისა და მერყეობის შემდეგ დაადგა ირ. წერეთელი...

აქ ახალი არაფერია. მაგრამ ჟორდანიასა და აბრამოვიჩს შორის ატეხილ პოლემიკაზე შეჩერება მაინც საჭიროთ მიგვაჩნია და იცით რატომ? იმიტომ, რომ როცა ორი მეგობარი ერთმანეთს წაეკიდებიან და საერთო მტერზე მსჯელობას იწყებენ, იმათ ამ მტერის შესახებ ბევრი რამ ისეთიც წამოცდებათ, რასაც ისინი სხვა დროს ქვეყანას უმალავენ.

ჟორდანიას ეს უკანასკნელი წერილი დაწერილია „იმ წერილზე ადრე, რომელიც „ბრძოლაში“ იყო დასტამბული და რომელსაც ჩვენ „ახ. გზის“ ორ წარსულ ნომერში გავაცანით ჩვენი მკითხველები. იქ ჟორდანია სასტიკათ ეკამათება ირ. წერეთელს, მაშინ, როდესაც აბრამოვიჩთან კამათის დროს ის წერეთელს თავის მომხრეთა და თანამებრძოლათ თვლის.

„ს. ვ“.-ში ჟორდანია გამოდის ერთი მთლიანი ფრონტით, მონოლიტურად შედუღებული ერთი ს. ს.-დ. პარტიის სახელით, რომელშიაც, როგორც ის აცხადებს, აბრამოვიჩი ამაოთ ცდილობს „მონახოს „მემარცხენეები“ და „მემარჯვენეები“. ჟორდანია აცხადებს: „შეგვიძლია ამხ. აბრამოვიჩი დავარწმუნოთ, რომ ის ჩვენს რიგებში ვერ დაინახავს არა თუ ფრთას, არამედ ასე თუ ისე ცნობილ ერთეულ მოღვაწესაც, რომელიც ეხმარებოდეს მის შეხედულებას. ყველა ძირითად საკითხებში ჩვენს პარტიაში სუფევს სრული ერთსულოვნება“. („ს. ვ“. 20 აგვისტო, 1927 წელი).

აკეთებს რა ასეთ განცხადებას თავისი პარტიის „მონოლიტური მთლიანობის“ შესახებ, ნოე ჟორდანია გადადის თავდაცვიდან შეტევაზე და ასე ახასიათებს „ს. ვ“.-ის ხელმძღვანელებისა და თავის საკუთარი პარტიის პოზიციას:

„ჩვენი მიზანია **საბჭოთა წყობილების დამხობა და მის ადგილზე დემოკრატიის აღდგენა**. იმათი („ს. ვ“-ის ხელმძღვანელების ან რუსეთის ს.-დ. პარტიის) მიზანია საბჭოთა წყობილების **დემოკრატიზაცია** თვით საბჭოების საშუალებით. საბჭოთა ხელისუფლების დასამარცხებლათ ჩვენ ვაყენებთ: **აქტიურ ბრძოლას, ძალდატანებას, სხვადასხვა გართულების გამოყენებას**. ისინი კი (რ; ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელები) — რჩევა-დარიგების საშუალებით ბოლშევიკების მორჯულებას, მათი დემოკრატიულად მონათვლას“. (იქვე. ხაზი ყოველგან ჩვენია. ყ.).

ასე აცხადებს ბრძოლის ექსტაზში მოსული ნ. ჟორდანია თავისი „მონოლიტური“ პარტ. სახელით. მაგრამ, ეტყობა რომ ის თავს ერთობ სუსტადა გრძნობს. მას თავისი საკუთარი პერსონა და პარტია ვერ მიაჩნია მაინ-

ცა და მაინც დიდ ავტორიტეტად და ცდილობს მიმართოს იმ დამფრთხალი ებრაელის ხერხს, რომელიც ბნელ ღამეში მოჩვენებული ყაჩაღების დასაშინებლად ერთ ხელზე ქუდს იფხატავს, მეორეზე არახჩინს და იძახის: მარტო არ გეგონოთ. ჩვენ სამნი ვართო.

ჟორდანია აცხადებს:

„ამ ბრძოლაში ჩვენს რიგებში გვყვანან: კაუცკი, აქსელროდი, პოტრესოვი“...

თქვენ კი ვინა გდიხართ? თქვენ მხოლოდ „ოტტო ბაუერი და ევროპის სხვა „ბოლშევიზონები“ გიჭერენ მხარსო“.

ასეთი განცხადება ერთობ უხერხული ფანდია ჟორდანიას მხრით. მწერალს არ ეკადრება პოლემიკის დროს სხვისი იმედებით გამოსვლა, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ეს ნაკლი შეადგენს ნ. ჟორდანიას ორგანიულ თვისებას, როცა იგი მთელი შვიდი წელიწადია ასე სხვების სახელითა და თანაგრძნობით „ამხნევებს“, ან უფრო მართალი თუ გნებავთ, ატყუილებს თავის ადეპტებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჟორდანიას უდიდესი მარცხი მოუვიდა. აბრამოვიჩი „ს. ვ“.-ის იმავე ნომერში, რომელშიც ჟორდანიას წერილია დასტამბული, აცხადებს: „აქსელროდმა მომანდო გამოვაცხადო, რომ ის, აქსელროდი, სრულიადაც არ იზიარებს ნ. ჟორდანიას ტაქტიკასო“.

რაც შეეხება კაუცკის მოწმობას ესეც ხომ უსაფუძვლოა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან კაუცკის აზრი ს. ს.-დ. პარტიის ტაქტიკის შესახებ. კაუცკის ტაქტიკა ამ შემთხვევაში სრული წინააღმდეგობა ჟორდანიას ტაქტიკისა.

მოვაგონოთ მკითხველებს ორიოდე სიტყვით კაუცკის აზრი ამ საგანზე. წარსული წლის 13 ივლისის თარიღით კაუცკიმ „ფორვერტც„-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიც ის უპასუხებს სომხის რევოლიუციონერებს, რომლებსაც მისთვის მიუმართავთ რჩევისათვის: რა უნდა ვქნათ, თუ ინგლისსა და რუსეთს შორის შეტაკება მოხდა? მივემხროთ ინგლისს და გამოვიდეთ რუსეთის წინააღმდეგ თუ არაო?

კაუცკიმ მათ უპასუხა, რომ მას დაუშვებლად მიაჩნია კომუნისტების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. ის ვერც იმას ურჩევს ვინმეს, რომ მოკავშირეთ მიიღოს საბჭოთა წყობილების ყველა მტრები...

„კავკასიის რევოლიუციონერები, რომლებიც ინგლისის მთავრობისაგან მოელიან ხსნას, სასტიკად მოტყუილდებიან და იმავე დროს დაიმსახურებენ ზიზღსა და მტრობას სოციალისტური ინტერნაციონალის მხრით“.

აი რა თქვა კაუცკიმ. აი რა პასუხი გასცა მან სომხების რევოლიუციონერების შეკითხვაზე. აი როგორია კაუცკის ტაქტიკა.

ჟორდანია კი გვეუბნება: კაუცკი ჩვენთან არის, ისიც ჩვენს ტაქტიკას იზიარებს, ისიც ჩვენთან ერთად გირჩევთ, რომ თუ საბჭოთა კავშირს ინგლისთან გართულება მოუხდა, თქვენ ამით უნდა ისარგებლოთ ჩვენი მიზნების განსახორციელებლათო.

ასე ატყუილებს ნ. ჟორდანია ს. ს.-დ. პარტიას, თუ ასეთი პარტია კიდევ არსებობს სადმე. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჟორდანია აყენებს „აქტიურ ბრძოლას, ძალ-დატანებას, სხვადასხვა გართულების გამოყენებას“... და ამაში კაუცკის იმოწმებს: ისიც ჩვენთან არისო.

კაუცკი კი გვეუბნება: თავი არ დაიღუპოთ, ინგლისის მთავრობას არ ენდოთ, მისი იმედით საბჭოთა ხელისუფლებას არ აუჯანყდეთ, თორემ თავსაც დაიღუპავთ და სოციალისტური ინტერნაციონალის ზიზღსა და მტრობას დაიმსახურებთო.

როგორც ხედავთ, ჟორდანიასა და კაუცკის შორის საერთო არაფერია გარდა იმისა, რომ კაუცკისაც ისე უჯავრება კომუნისტები, როგორც ჟორდანიას. კაუცკი სრულიად წინააღმდეგია მებრძოლი მენშევიზმის ტაქტიკისა, ის სრულიად არ თანაუგრძნობს „აქტიური ბრძოლის“ ტაქტიკას.

„სადირექტივო წერილების“ შინაარსიც რომ დავივიწყოთ, ჟორდანიას პოზიციის ნათელსაყოფელად მარტო აბრამოვიჩის საწინააღმდეგოთ დაბეჭდილი წერილიც გვეყოფა. როგორც დავინახეთ, აქ ის „აქტიური ბრძოლისა და ძალდატანების“ აპოლოგეტათ გამოდის...

მაგრამ იმავე წერილში, სულ ათიოდე სტრიქონით ქვევით, ის იძულებულია თავის მებრძოლ ტაქტიკას ცოტა ფერ - უმარული მოსცხოს. ის „ს. ვ“.-ის მკითხველებს არწმუნებს: „თუ ომი მოხდა, საქართველოს სოციალ - დემოკრატია მასში მონაწილეობას არ მიიღებს. ის ნეიტრალიტეტს დაიცავსო“.

როგორც მკითხველი აშკარად ხედავს, ჟორდანია ერთსა და იმავე წერილში ასეთ დიდ წინააღმდეგობაში ვარდება. ის გამოდის „აქტიური ბრძოლის და ძალდატანების“ მქადაგებლად. ის მებრძოლთა წინასწარ აღრიცხვას მოითხოვს საქართველოში, ის მეომრებს ამზადებს საბჭოთა კავშირის გარეგანი გართულების დროისთვის, (მოიგონეთ ნ. რამიშვილის „სადირექტივო წერილის“ შინაარსი) და იმავე დროს რუს მკითხველებს არწმუნებს: თუ საბჭოთა რუსეთს გარეშე სახელმწიფოებთან გართულება მოუხდა და ომი დაიწყო, მე და ჩემი პარტია ნეიტრალიტეტს დავიცავთო.

ჟორდანიას აზრთა ასეთი წინააღმდეგობა ამ ერთი პატარა წერილის სივრცეზე იმდენად აშკარა და თანაც საკვირველია, რომ მასზე მეტი შეჩერება არა ღირს.

მაგრამ ჟორდანიასა და აბრამოვიჩის საპოლემიკო წერილებში არის ერთი რამ, რის გათვალისწინება დიდ სარგებლობას მოუტანს ქართველ ხალხს. ჩვენ მოგახსენებთ ევროპის პროლეტარიატის ქართველი ხალხისადმი თანაგრძნობის შესახებ.

შვიდი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც ჟორდანია და რამიშვილი ქართველ ხალხს ჩასჩიჩინებენ: მთელი ევროპის მუშათა კლასი ჩვენთან არის. ყველა ჩვენ თანაგვიგრძნობს. ყველა ჩვენ გვიჭერს მხარს კომუნისტური წყობილების დამარცხების საქმეში. თქვენ მხოლოდ ცოტა გამაგრდით, კომუნისტებს არ შეურიგდეთ, მათთან ბრძოლა არ შეანელოთ და მათი დამარცხება ევროპის მუშების საქმეაო.

ამ მთელი ევროპის პროლეტარიატის თანაგრძნობაზე აღმოაცენეს ჟორდანია - რამიშვილმა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა. ამ თანაგრძნობის იმედით გააბრიყვეს და დაღუპეს მათ ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი.

და მხოლოდ დღეს ჟორდანიასა და აბრამოვიჩის პოლიტიკის დროს ტყობილობენ ს. ს.-დ. პარტიის წევრები იმის სრულ წინააღმდეგობას, რასაც ჟორდანია - რამიშვილი ასეთი დიდი ხნის განმავლობაში გაიძახოდენ ქართველი ხალხის თვალების ასახვევათ, ავანტიურაში მის ჩასათრევათ, მის დასაღუპავათ.

ამ პოლემიკიდან ქართველი ხალხი ტყობილობს იმას, რაც ჩვენ უმისოდაც კარგად ვიცოდით, რაზეც მთელი სამი წელიწადია ვწერდით და ვლაპარაკობდით...

ამ პოლემიკიდან ქართველი ხალხი ტყობილობს, რომ კომუნისტები და საბჭოთა წყობილება არც თუ ისე მოძულებული ყოლია ევროპის პროლეტარიატს, როგორც ამას ჟორდანია - რამიშვილი გვეუბნებოდენ.

აბრამოვიჩი, რომელსაც ვერავინ დასწამებს კომუნისტების თანაგრძნობას, რომელიც შეურიგებელი მტერია საბჭოთა წყობილებისა, ჟორდანიასთან კამათის დროს ააშკარავებს არა მარტო თავისა და თავისი პარტიის გულის ნადებს, არამედ მეორე ინტერნაციონალისა და ევროპის მთელი მუშათა კლასის შეხედულებას ამ ჩვენთვის საინტერესო საგანზე.

აბრამოვიჩი სწერს:

„დე ამხ. ჟორდანიამ ამხ. წერეთელის დახმარებით ჩამოთვალოს თითებზე ევროპის მუშათა ყველა თვალსაჩინო პარტიები და ის აუცილებლად დარწმუნდება იმა-

ში, რაც ყველა ჩვენგანმა კარგად ვიცით. ის დარწმუნდება, რომ ევროპის სოციალისტური მუშათა კლასი, განურჩევლად მიმართულებისა, უაღრესად უარყოფით და მტრულად ეპყრობა ომის ყოველგვარ შესაძლებლობას და ომით სპეკულიაციას, რაც უნდა მოტივებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ეს სპეკულიაცია. ინტერნაციონალს შეუძლია სულითა და გულით თანაუგრძნოს არა თუ იმ ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას, შეუძლია დაეხმაროს მას ყველა მის განკარგულებაში მყოფი საშუალებებით, მაგრამ არასოდეს და არავითარ პირობებში,—სულ ერთია იქნება ეს საქართველო, ჩინეთი თუ ინდოეთი,—არ დაეთანხმება იმაზე, რომ ამ ერის თავისუფლება გამოსყიდული იქნეს მსოფლიო ომის ცეცხლის ფასით და არასოდეს არ აპატიებს იმათ, ვინც ამ ცეცხლით თამაშს მოინდომებენ“. („ს. 3“. № 16—17).

ასე და ამრიგად, ეს ორი ავგური, რომლებიც ამდენ ხანს ერთმანეთს ნამუსს უნახავდენ და საქვეყნოდ ერთმანეთს არ ამხელდენ, დღეს წაიჩხუბენ და ერთმანეთი სააშკაროზე გამოყავთ. აბრამოვიჩი ქართველ ხალხს ეუბნება იმას, რასაც მას ეუბნებოდენ და ეუბნებიან „ახალი გზის“ პუბლიცისტები...

აბრამოვიჩი ქართველ ერს და არა მარტო ქართველ ერს, ჩინეთს, ინდოეთსა და ყველა სხვა ერებს ეუბნება: თუ შენ ომის ქავილითა ხარ ატროვებული, ნუ გექნება იმედი ნურც ევროპის პროლეტარიატისა, ნურც მეორე ინტერნაციონალისაო.

ს.-დ. ძველი ქურუმი კაუცკი ამას მეორე ინტერნაციონალს შეჩვენებასაც უმატებს: თუ ბრძოლისა და ძალდატანების გზას დაადგებით თავსაც დაიღუპავთ და იმავე დროს „სოციალისტური ინტერნაციონალის ზიზღსა და მტრობასაც დაიმსახურებთო“.

ამასვე ვეუბნებოდით და ვეუბნებით ჩვენც ქართველ ხალხს და ამიტომ ჟორდანია-რამიშვილისაგან ქვეყნის მოღალატეობის სახელი დავიმსახურეთ.

დღეს ამასვე ეუბნებიან ქართველ ხალხს: ირაკლი წერეთელი, აბრამოვიჩი, კაუცკი...

ვნახოთ, რა სახელს უწოდებენ მათ ჟორდანია და რამიშვილი.

**ყარიბი.**

# მუშებზე შეტევის ახალი მეთოდი

მსოფლიო ომის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის კაპიტალმა დაკარგა მსოფლიო ბაზარზე ძველი ჰეგემონია და გაბატონებული მდგომარეობა. ომში დამარცხებული იმპერიალისტური გერმანიის ნაცვლად, რომელიც იყო ინგლისის ერთი მთავარი მეტოქე და კონკურენტი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეხლა გამოვიდა ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების ბურჟუაზია, რომელიც უსაზღვროდ გამდიდრდა და გაძლიერდა მსოფლიო ომის დროს მეომარი სახელმწიფოების ბურჟუაზიის ხარჯზე.

ინლგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიას, ამჟამად, ამერიკის თანხმობის გარეშე, მისი სურვილის წინააღმდეგ, არ შეუძლია არც ერთი თვალსაჩინო ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა და ამით ანტაგონიზმის გამოწვევა. ამერიკასთან კონფლიქტის შექმნა ეხლანდელ პირობებში, ინგლის - საფრანგეთისათვის, როგორც მოხარკე სახელმწიფოებისათვის, არაა ხელსაყრელი და ამიტომაა, რომ ასეთ მორიდების პოლიტიკას ადგანან მასთან დამოკიდებულებაში საერთაშორისო კონფედერაციებზე და კონგრესებზე. მაგრამ ძნელია საქანელაზე დიდხანს ცალი ფეხით გაჩერება, არ შეიძლება, რომ ინგლის - ამერიკის იმპერიალიზმს შორის არსებული წინააღმდეგობა, მათ შორის არსებული ფარული ბრძოლა, ადრე თუ გვიან, აშკარა კონფლიქტად არ გადაიქცეს. ეს იცის, რა თქმა უნდა, ინგლისის ბურჟუაზიამ და წინასწარ სამზადისს ეწევა. ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების მთლიანი ფრონტის შექმნის იდეა, რომლის განსახორციელებლად ასე ბევრს მუშაობს, ასეთ დიდ ენერგიას ხარჯავს ინგლისის კონკრეტიული მთავრობა, ნაკარნახევია არა მარტო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დასაწყებად, არამედ ამერიკის დასაპირდაპირებლად, მისი შემოტევისაგან თავის დასაცავად.

არც ამერიკის ბურჟუაზია არის ამ მხრით გულზე, ხელდაკრეფილი, ისიც ემზადება ინგლისთან, მოსალოდნელი კონფლიქტისათვის.

ამ დღეებში, საზღვაო მინისტრის, ვილბურის მიერ შეტანილი კანონპროექტი კონგრესზე 3-მეოთხედი მილიარდი დოლარის გადადების შესახებ საზღვაო შეიარაღების გასაძლიერებლად, მიმართულია არა მარტო ნიკარაგუას დ მექსიკის აჯანყებულთა წინააღმდეგ, არა მარტო ლათინური ამერიკის დასამორჩილებლად, არამედ ინგლისის წინააღმდეგაც.

კანონპროექტის ავტორი ვილბური გულახდილად აცხადებს: „ფლოტის დემონსტრაცია მნიშვნელოვნად აძლიერებს ჩვენი მწარმოებლების ბრძოლას ახალი ბაზრების დასაპყრობად, ხოლო ამ ბრძოლის გამარჯვებით დასრულება ბევრად არის დამოუკიდებელი იმ პრესტიჟისაგან, რომელსაც უქმნის სახელმწიფოს თანამედროვე კრეისერებიო“.

„ახალი ბაზრების“ სახით ამერიკის იმპერიალიზმს მხედველობაში აქვს უთუოდ ინგლისის კოლონიები, სადაც ინგლისის კაპიტალია გაბატონებული, და კრეისერების გამოყენებაც მის წინააღმდეგ იქნება ნაგულისხმევი.

მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიის საგარეო მდგომარეობა ეხლაც, როდესაც ასეთი გართულება კიდევ არ შექმნილა, არ არის სახარბიელო, იმ დიდი იმპერიალისტური, მიზნების განსახორციელებლად, რასაც ის ატარებს პერსპექტივაში. საშინაო მდგომარეობა კიდევ უფრო შერყეულია, მისი მრეწველობა დღეს კრიზისს განიცდის, რაც ყველაზე უფრო ადრე და ფართო ხასიათით წამოიჭრა ტეხნიკურად ჩამორჩენილ სექტორში — სამთამადნო წარმოებაში. ამ კრიზისის აცილებას ბურჟუაზია შეუდგა მთლიანად მემაღაროეთა ხარჯზე, მათი ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დროს გადიდების სახით.

მაღაროს მეპატრონეების მიერ დაწყებულ შემოტევას, ბუნებრივია, რომ მოყვა მუშების წინააღმდეგობა, შეიქმნა კონფლიქტი, რამაც ქრონიკული ხასიათი მიიღო. ამ კონფლიქტის კულმინაციური განვითარება იყო 1926 წ. მაისში გამოცხადებული საყოველთაო და სამთამადნო მუშების გაფიცვა. როგორც ვიცით, ეს გაფიცვა, მუშების დიდი ენტუზიაზმით და სოლიდარობით დაწყებული, რომლის გამარჯვებით დასრულების ყველა შანსები იყო, გენსაბჭოში გაბატონებული სოციალ - მოღალატეების საშუალებით, დამარცხებით დათავდა.

მემაღაროეთა დამარცხების შემდეგ, ამ მთავარი სიმაგრის აღების შემდეგ, ინგლისის ბურჟუაზიას ფართო ასპარეზი მიეცა მუშათა კლასის წინააღმდეგ საერთო შეტევის დასაწყებად, მრეწველობის სტაბილიზაციის გეგმას მუშების ხარჯზე შესასრულებლად.

გენსაბჭოს ოფიციალური ხელმძღვანელები ხელს უწყობდენ მათ ამ საქმეში, პირველ ხანებში პაციფისტური თეორიის წამოყენებით და სისტემატიური საბოტაჟით, ხოლო უკანასკნელად აშკარა ღალატით და ბურჟუაზიასთან ოფიციალური დაკავშირებით. თუ ორი წლის წინად. სკარბოროში. ბევინ - სიტრინები კიდევ იდგენ პაციფიზმის პოზიციებზე და ფარისევლურად აცხადებდენ, რომ „კონგრესი ოპოზიციაშია ინგლისის იმპერიალიზმთანო“, თუ სკარბოროს კონგრესზე კიდევ გამოქონდათ მათ რეზოლიუცია: „ბრიტანეთის მთავრობის ბატონობა იმ ხალხზე, რომლებიც არ ეკუთვნიან ინგლისის ეროვნებას, არის კაპიტალისტური ექსპლოატაციის ერთი

ყრილობაზე ზედმეტი აღმოჩნდა ეს ფალსიფიკაცია და აშკარად გამოვიდენ კაპიტალიზმის დასაცავად.

ედინბურგის ყრილობაზე მათ ერთი სიტყვაც არ სთქვეს ინგლისის იმპერიალიზმის შესახებ, რომელიც ომს აწარმოებს ჩინეთში, ჩინეთის ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ და პროვოკაციებს უწყობს ინდოეთის, ეგვიპტის და სხვა კოლონიალურ ერებს ეროვნული თავისუფლების შეგნებისა და ლტოლვის ჩასაკლავად. ინგლისის ძველი ტრადიციების დიდ პატრიოტებს, რასაც ხშირად „იცავენ" მაკდონალდები მუშების რევოლიუციონური მოძრაობის დასაგმობად, სრულებით დაავიწყდათ ედინბურგის ყრილობაზე ბრიტანეთის პროფმოძრაობის ტრადიციების გახსენება, რაც ასე შელახულია და უარყოფილი კონსერვატორების მიერ მიღებული პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონით.

ედინბურგის ყრილობაზე მათ პაციფიზმის სრული კაპიტულიაცია მოახდინეს და მის ნაცვლად წამოაყენეს, კაპიტალთან თანამშრომლობის ახალი იდეა, რომელსაც საფუძვლად დაუდვეს მაკდონალდ-ბევინ-სნოუდენის მიერ კოლექტიურად წამოყენებული შემდეგი პრინციპები: 1) რადგანაც პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონით აკრძალულია გაფიცვის გამოცხადება, როგორც მეტად „მკაცრი" და „ბარბაროსული" საშუალება რაიმე მიზნების მისაღწევად, მაკდონალდის პროექტით, უნდა შეიქმნას მომრიგებელი აპარატი, რომლის საშუალებით მოხდება მუშებისა და მწარმოებლებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ლიკვიდაცია; 2) სოციალიზმი არ შეიძლება განხორციელდეს ერთი პარლამენტის პერიოდში და ეს იდეა საზოგადოდ უნდა იყოს ყოველთვის საქმიანობის „მეორე რიგში". 3) რადგანაც შრომასა და კაპიტალს შორის ერთნაირია ინტერესები (ეს „დებულება" იმდენად განავითარა შემდეგ კონსერვატორების პრესამ, რომ არ დაერიდენ ისეთი კურიოზული დასკვნის გაკეთებას, რომ „თვითეული მუშა უნდა გახდეს კაპიტალისტიო"). და არ უნდა არსებობდეს წინააღმდეგობა, არ უნდა ექნეს ადგილი კონფლიქტებს და ყველა საკითხები სწყდებოდეს „შეთანხმებით" და 4) მუშათა კლასი დაინტერესებული უნდა იყოს ინგლისის კაპიტალის დაცვით გარეშე, უცხო სახელმწიფოს კაპიტალის კონკურენციისაგან. და ძველი ბაზრების შენარჩუნებაშიო".

„წარმოებაში მშვიდობიანობის დაცვის" საფუძვლად წამოყენებულ ამ პრინციპებიდან ნათელია, თუ საით მიყავს მაკდონალდ-სნოუდენებს ინგლისის მუშათა კლასი, თუ როგორ ფიქრობენ ისინი ინგლისის მუშათა მოძრაობის ლიკვიდაციას, რაც მათთვის სამწუხაროდ, ისტორიულად შეუძლებელია. ამ „თეორიით" მათ შეეძლებათ მხოლოდ ერთი საქმის შესრულება — მუშათა მასების პოლიტიკურად გამოფხიზლება და მათ ხელმძღვანელობაზე უარის თქმა.

ედინბურგის კონგრესზე გამოაშკარავებული კაპიტულიაცია, იყო ოფიციალური დასტური ძველად ჩადენილი მოღალატეობის პრაქტიკის და უდიდესი დამსახურება ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე. ტყუილა არ შეასხა ქება კონგრესის მუშაობას შუბლმაგართა პოლიტიკის ცნობილმა დამცველმა, ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ლორდ ბირკენხედმა, რომელიც ეხლა უთუოდ საგონებელსაა მიცემული მადრასში, ინდოეთის მე-42 ნაციონალურ კონგრესზე მიღებული ინგლისის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო დადგენილებების გამო. ბირკენხედი ვერ იქნება კმაყოფილი, რომ ედინბურგისა და ბელეკპულის კონგრესებს ამაზე მეტი გავლენა ვერ მოუხდენია კოლონიალურ ერებზე.

მაკდონალდი, როგორც სჩანს, დიდი მონდომებით განაგრძობს ეხლაც მუშაობას ედინბურგის კონგრესზე შემუშავებული გზით — ის უკვე შესდგომია ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ერთი მთავარი გარანტიის „წარმოებაში მშვიდობიანობის დაცვის" იდეის პრაქტიკულად განხორციელებას, რისთვისაც შეიკრიბენ კიდეც გენსაბჭოს ხელმძღვანელები მწარმოებლებთან ერთად 12 იანვარს, ე. წ. „წარმოებაში მშვიდობიანობის დაცვის", პრობლემის დამმუშავებელ კონფერენციაზე. კონფერენციის გახსნის წინ, მათ ჩაატარეს საჭირო კამპანია ამ იდეის მასებში პოპულიარიზაციისათვის. „ქრისტიანული ძმობის" კავშირმა, რომლის ერთგული წევრია რამზეი მაკდონალდი, გამოაქვეყნა მოწოდება, რომ ხელი შეუწყონ წარმოებაში „ქრისტიანული პრინციპების შემოღებას". კამპანიის გარეშე არ დარჩა არც, ჩვენთვის კარგად ცნობილი, ქართველი ემიგრაციის დიდი იმედი და ძოკავშირე კენტენბერიის ეპისკოპოსი. არც მან მოაკლო თავისი კურთხევა და ლოცვა მათ „ბრძნულ" და „კეთილგონიერ" იდეას

გენსაბჭოს თავმჯდომარე ბენ-ტერნერი კმაყოფილია კონფერენციის მუშაობით, რომლის შემდეგ „მოღვაწეობას" საფუძვლად დაედვა მის მიერ წამოყენებული „ნაციონალური მრეწველობის დაცვის და ეხლანდელი ქაოსის დასაძლევად საჭირო საშუალებების გამონახვის" პრინციპი.

კონფერენციის მუშაობის შედეგად, ჯერ-ჯერობით მივიღეთ მაკდონალდის ხელმძღვანელობით შემუშავებული ნახშირის წარმოების რეორგანიზაციის პროექტი. პროექტით ნაგულისხმევი ნახშირის წარმოების ნაციონალიზაცია, მისი სახელმწიფო კაპიტალიზმის პრინციპებზე დაყენება, რომლის აქციები და მმართველობა რჩება მწარმოებლების ხელში, წარმოადგენს ახალ კომბინაციას მემაღაროეთა დასამორჩილებლად. ნახშირის წარმოება ამ პროექტით არსებითად ისევ მაღაროს მეპატრონეების ხელში რჩება, ხოლო ნაციონალიზაციის სიმულიაცია შექმნილია იმისათვის, რომ მუშები დაუპირდაპირონ მთავრობას და ამით წაართვან საშუალება ეკონომიური ბრძოლის წარმოების, რადგან ამას ყოველთვის მიეცემა პოლიტიკური ხასიათი.

მეორე შედეგი გამოიხატება იმაში, რომ უმუშევრებს წინადადებას აძლევენ დატოვონ ინგლისი, თავიანთი სამშობლო, და წავიდენ დროებით სამუშაოზე დომინიონებში. ამით ინგლისის რეაქციონური ბურჟუაზია ორ საქმეს გააკეთებს. ერთის მხრივ წარმოების ცენტრალური ადგილს მოაცილებს რევოლიუციონურად განწყობილ მუშებს და მეორეს მხრივ მათ იზოლიაციაში დააყენებს ინგლისის მუშათა მასებისაგან. ეს არის მუშების პოლიტიკური გადასახლების ახალი მეთოდი.:

ასეთია ინგლისის სოციალ-მოღალატების მიერ წამოყენებული „წარმოებაში მშვიდობიანობის დაცვის" იდეის განხორციელების პირველი შედეგები, რაც წარმოადგენს მუშათა კლასზე შეტევის ახალ მეთოდს. სხვანაირ შედეგს არც უნდა მოელოდეს მისგან მუშათა კლასი, რადგან კაპიტალისტური სისტემა თვით არის მიზეზი წარმოებაში ანარქიის შექმნის და მასვე როგორ შეეძლება დავავალოთ მის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს არის სოციალისტური რევოლიუციის ამოცანა, საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის საზოგადოებრივ საკუთრებათ გამოცხადება, წარმოების წინასწარი გეგმით ამუშავება. ეს იციან ინგლისის კაპიტალისტებმა, ხოლო მათი „მშვიდობიანობის დაცვის" გაგება არის არა კონფლიქტების წარმოშობის სოციალური მიზეზების მოსპობა, არამედ მუშათა კლასის იმდენად დამორჩილება, რომ მათ ვერ გაბედონ „კაპიტალისტური შვიდობიანობის" დარღვევა, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ხმის ამოღება.

მაკდონალდებიც ამ მიზნის მისაღწევათ აყენებენ „წარმოებაში მშვიდობიანობის დაცვის" იდეას, რაც მუშათა კლასისათვის უკვე გარკვეულია.

**ქ. ჩეიშვილი.**

# სისხლიანი კვირა

(9—22 იანვარი)

თეთრად ელავდა
თოვლის პანელი...
ნევა ღელავდა,
აქამდის ნელი...
ბალტიის ზღვიდან
ქარი ბერავდა...
მზე სივრცეს ციდან
კუშტად ზვერავდა,
რადგან ქუჩები
ტვირთს ვერ იტევდა:
გუნდათ მუშები
წინ მიიწევდა...
მეფის სასახლეს
დაელო ხახა.
ვინ იცის, მას დღეს
რა განაზრახა!..
წინ— მოედანი,
ჯარით გაკრული!
შრომის უბანი,
მუდამ ჩაგრული,

დღეს აქ ელოდა
მეფის წყალობას!.
წვებოდა ლოდათ
ქარის გალობა...
ლოდათვე იქცა
აღთქმული პური:
მეფემ ხალხს მისცა
სიტყვა მეფური
და ის ცხელ ტყვიად
გულში ახალა.
მან წითელ ღვრიად
სისხლი დაღვარა:
„მშვიდი ძარღვების
ამაყი თესლი“!
დედა-ბალღების
ქუჩებზე სრესით,
გადააროკა
ძან თვისი ძლევა,
და აატოკა
შურის ხმით ნევა!...

***

და როცა ღამით,
ამ შურის შხამით,
დაეშვა ბნელი,
ნევა ღელავდა,
და ძირს პანელი
წითლად ელავდა!..

***

თორმეტი წელი
ძლივს გავუძელით
ჩვენ შემდეგ ლოდინს:
შრომის ბირთვების,
ბრძოლის ზვირთების
კუმშვას თუ წოდიხს...
და მრისხავ ძალად
რომ ითქრიალა,
წაიღო ყური:
ნევაც სდგა ცერზე...
და სასახლეზე
იძიეს შური!..

**ნ. ზომლეთელი.**

# სესხი საგლეხო მეურნეობის განსავითარებლად

გასული წლის მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ორას მილიონიანი ინდუსტრიალიზაციის სესხი, რომლის გასაღებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სესხის ობლიგაციები გასაღდა გაცილებით იმაზე უფრო მეტი, რაც გათვალისწინებული იყო და მასთან ერთად იმ განსაზღვრულ დროში, რომელიც დაწესებული იყო ხელისუფლების მიერ.

ზემოხსენებული სესხი იყო ყველაზე უფრო დიდი იმ სესხთა შორის, რომელიც საბჭოთა მთავრობამ გამოსცა მისი არსებობის განმავლობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საინდუსტრიალიზაციო სესხის გამოშვება მოხდა სწორედ იმ ხანებში, როდესაც ინგლისთან ჩაშლილი იყო დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა. ოქტომბრის რევოლიუციის მტრებს იმედი ქონდათ, რომ დღეს თუ ხვალ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ომი უნდა დაწყებულიყო და ასეთ დროს ორას მილიონიან შინაურ სესხის გამოცემას ქონდა დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა. ეს იყო ერთგვარი დემონსტრაცია, საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხის გამოცდა იმპერიალისტური ყაჩაღების წინაშე, თუ რამდენად შეკავშირებულია ეს მასები საბჭოთა ხელისუფლების გარშემო და რამდენად დაინტერესებული არიან ისინი ამ ხელისუფლების გამარჯვებით.

ინდუსტრიალიზაციის სესხის გამოშვებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მშრომელთა ფართე ფენებში. ობლიგაციის შემსყიდველთა რიცხვი ფინანსთა კომისრის ამხ. ბრიუხანოვის განცხადებით 6 მილიონს უდრის. ეს უაღრესად დიდი რიცხვია, რომელიც ადასტურებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მოსახლეობა შეგნებულად ხვდება ხელისუფლების ყოველგვარ ნაბიჯს, მიმართულს სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებისაკენ.

ამ სესხს ქონდა თავისი პირდაპირი დანიშნულება. მისი მიზანი იყო მრეწველობის აღორძინებისათვის გადადებულ თანხებს შევსება.

მე-14 პარტყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ, რითაც თავი უნდა დავაღწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებულებას.

მაგრამ ამასთან ერთად დღის წესრიგში სდგას სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. მისი ისეთ დონეზე მოწყობა, რომ შესაძლებელი გახდეს გაცილებით მეტი პროდუქციის მიღება. ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას საშუალება ექნება თავისუფალი თანხები დააბანდოს სასოფლო მეურნეობაშიაც.

ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ კარგა ხანია რაც მიაღწია ომის წინადროინდელ დონეს, ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც გადააჭარბა მას, მაგრამ ამაზე შეჩერება შეუძლებელია.

საბჭოთა რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ გაცილებით დაბლა სდგას კაპიტალისტური ქვეყნების და კერძოდ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო მეურნეობაზე. იქაური მეურნეობის პროდუქცია თუ მეტი არა, ორჯერ მაინც სჭარბობს ჩვენი მეურნეობის პროდუქციას და ეს გამოწვეულია არა მიწის ნიადაგის სიმწირით, არამედ მთელ რიგ ტეხნიკური გაუმჯობესებათა უქონლობით. კერძოდ ტრაქტორებით მიწების დამუშავება საბჭოთა რესპუბლიკებში ახალი მოვლენაა; ასეთივე ხდგომარეობაშია ხელოვნური სასუქით მიწის განაყოფიერება, მორწყვის საქმე, გვალვასთან ბრძოლა. ჭაობების ამოშრობა, სათესლე ხორბლის გადარჩევა და მრავალი სხვა.

ყველა ამ საქმის სათანადო დონეზე დაყენებისათვის საჭიროა დიდძალი თანხები. კაპიტალისტური სახელმწიფოები ამ თანხებს შოულობდენ როგორც საგარეო სესხის საშუალებით, ისე საკუთარი კოლონიების გაძარცვით. საბჭოთა ხელისუფლება ვერც ერთ ამ გზას ვერ დაადგება. კაპიტალისტური მთავრობები საბჭოთა კავშირს სესხს არ მისცემენ და ეს არც დიდად ხელსაყრელია ჩვენთვის, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ სესხს განაღდება ესაჭიროება, უნდა გადავიხადოთ აგრეთვე საკმაოდ დიდი საპროცენტო თანხა კაპიტალისტების სასარგებლოდ. ზედმეტია ლაპარაკი კოლონიების გაძარცვაზე. საბჭოთა კავშირს კოლონიები არა აქვს და არც ასეთს საჭიროებს. პირიქით, ის სასტიკად ებრძვის კოლონიალურ ჩაგვრას.

ყველაზე უფრო სწორი საშუალება არის შინაური სესხი, რასაც ფართედ მიმართავს საბჭოთა მთავრობა. რამოდენიმეჯერ იქნა გამოცემული საშინაო სესხი და მათი განაღდება ყოველთვის წარმატებით დაგვირგვინდა.

მიმდინარე წლის პირველი იანვრის თარიღით საბჭოთა მთავრობამ დაადგინა: გამოსცეს 100 მილიონიანი საშინაო სესხი, საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებლად და განსავითარებლად.

როგორც საინდუსტრიალიზაციო სესხს ქონდა გან-

საზღვრული დანიშნულება, ისე საგლეხო სესხიც მიზნად ისახავს საგლეხო მეურნეობის გაჯანსაღების საქმეს.

აქ აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ საგლეხო სესხის სარგებლიანობა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის, ისე თვითეული იმ მოქალაქესათვის. რომელიც შეიძენს ამ სესხის ობლიგაციებს. სესხის წარმატებით განაღდება საშუალებას მისცემს ხელისუფლებას უმტკივნეულოდ აწარმოოს სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმე და გადასჭრას ყველა ის ამოცანები, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის მიხედვით მიმდინარე საბიუჯეტო წელში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სიმარტივე და სარგებლიანობა, რომელიც ამ სესხს ახასიათებს მისი ობლიგაციების შეძენის მიმართ.

სესხი იცემა სამი წლის ვადით, ესე იგი. მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან, 1931 წლის პირველ თებერვლამდე, რომლის შემდეგ უნდა მოხდეს მისი განაღდება. ეს ისეთი მოკლე დროა, რომ თვითეულმა მოქალაქემ და პირველ რიგში კი გლეხობამ, რომელთა კეთილდღეობისათვის არის ეს სესხი დანიშნული, უსათუოდ უნდა შეიძინოს მისი ობლიგაციები და ტყვილა უბრალოდ არ დააბანდოს ის თავისუფალი თანხები, რომელიც საკმაოდ მოიპოვება სოფლად. ობლიგაციის შემძენი წლიურად მიიღებს 6 პროცენტ სარგებელს. სამი წლის განმავლობაში გათამაშებული იქნება ექვსჯერ მომგებიანი ტირაჟი 21 მილიონი მანეთის მოსაგებით. რომ უფრო მეტ ობლიგაციებს ერგოს მოგება, ამიტომ უმაღლესი მოსაგები განსაზღვრულია 1000 მანეთით, რაც საშუალებას იძლევა მოსაგები შეხვდეს ყოველ 30 ობლიგაციაზე თითო ობლიგაციას, საერთო რიცხვით კი მოიგებს 332.640 ობლიგაცია. თავისუფლად შეიძლება ობლიგაციების როგორც დაგირავება, ისე გაყიდვაც.

ობლიგაციების ღარიბი მოსახლეობის მიერ შეძენის გასაადვილებლად მისი ღირებულება განსაზღვრულია 10 მანეთით, რომელიც დაყოფილია ოთხ კუპონათ და თვითეული კუპონი ღირს ორი მანეთი და 50 კაპ. ეს გარემოება თვითეულ უღარიბეს გლეხსაც კი მისცემს ობლიგაციის, ან მისი ერთი ნაწილის შეძენის საშუალებას.

არის მთელი რიგი სხვა შეღავათებიც, რომლის დაწვრილებით ჩამოთვლას აღარ შეუდგებით; აღვნიშნავთ მხოლოდ დადგენილების ერთ მუხლს, რასაც წინანდელ სესხების დროს არ ქონდა ადგილი და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითეული თემის კეთილდღეობისათვის.

დადგენილების მე-14 მუხლის მიხედვით, იმ საერთო თანხიდან, რამდენიც გასაღდება ამა თუ იმ რაიონსა ან თემში, 10 პროცენტი რჩება ადგილობრივ თემის ბიუჯეტში სასოფლო - სამეურნეო და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა სკოლების, საავადმყოფოს და გზების აღმშენებლობა, მანქანების კოლექტიურად შესაძენად. მიწად - მოწყობისათვის, რომლითაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ და სხვა

მაშასადამე თუ რომელიმე თემი გაასაღებს ათიათასი მანეთის ობლიგაციას, ათასი მანეთი დარჩება უშუალოდ ადგილობრივ თემის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს უსათუოდ დიდი კოზირია თემაღმასკომების ხელში. რათა მათ ენერგიულად მოკიდონ ხელი საგლეხო სესხის ობლიგაციების გასაღებას. თვითეული თემი პირდაპირ უნდა შეეჯიბრონ ერთმანეთს ამ მიმართულებით და ეცადონ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გაასაღონ სესხის ობლიგაცია.

თუ მთლიანად საბჭოთა რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობის დონე დაბლა სდგას, ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოზე, სადაც მეურნეობის ჩამორჩენასთან ერთად გლეხობა განიცდის მიწის სივიწროვეს. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ღონისძიებების გატარებით: უნდა ამოვაშროთ ის ჭაობები. რომელიც შავი ზღვის ნაპირებზე მდებარეობენ. ამ მიმართულებით კარგა ხანია რაც ხელისუფლებამ დაიწყო საჭირო მუშაობა, მაგრამ მისი დამთავრება ახლო დროში დამოკიდებულია საჭირო თანხების გადადებაზე.

კერძოდ ფოთის ჭაობების ამოშრობა რამოდენიმე ათეული ათას დესეტინა მიწას შესძენს საქართველოს გლეხობას, სადაც შესაძლებელია გაჩაღდეს არა მარტო უბრალო მეურნეობა, არამედ კულტურული მცენარეების მოშენებაც.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ალაზნის არხის დათავრებას და შირაქის ველის მორწყვას, კულტურული მეურნეობის გაჩაღებისათვის ხელის შეწყობას, გაუმჯობესებულ სასოფლო - სამეურნეო იარაღების გლეხობისათვის მიწოდებას და მრავალი სხვა.

ყველა ამ ამოცანების გადაჭრას ხელს შეუწყობს ზემოხსენებული სესხის მთლიანად და თავის დროზე გასაღება

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მშრომელი გლეხობა, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელიც ყოველგვარ მოვლენას ხვდება შეგნებულად, ამ შემთხვევაშიაც გამოიჩენს საჭირო ენერგიას და თვითეული მშრომელი გლეხი შეიძენს საგლეხო სესხის ობლიგაციებს.

ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ. რომ სესხი რეალიზაციის უფრო წარმატებით დაგვირგვინებისათვის საჭიროა გლეხობაში ფართე აგიტაცია - პროპაგანდის წარმოება და იმ სარგებლიანობის გლეხობისათვის განმარტება, რომელიც შეუძლია მიანიჭოს მშრომელ გლეხობას საგლეხო სესხმა.

ეს საქმე პირდაპირ ევალება სათემო საბჭოებს, აღმასკომებს, სოფლის ინტელიგენციას და თვითეულ შეგნებულ მოქალაქეს, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა წყობილების გამარჯვებით და სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებით.

მეურნე.

# ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

## I.

მეოცე საუკუნე საბედისწერო შეიქნა ბიუროკრატიული სახელმწიფოებისათვის. რევოლიუციის ქარიშხალმა იმსხვერპლა ზედიზედ უძლიერესი ბიუროკრატიული სახელმწიფოები: რუსეთი, გერმანია, ავსტრო - უნგრეთი. ორი უკანასკნელი ვერ აცდა ბურჟუაზიული განვითარების ტრაფარეტულ გზას. იქ სავსებით დარჩა სახელმწიფოებრივი იძულების ძველი აპარატი: მოხელეები, ჯარი და პოლიცია, არსებითად დარჩა ის, რაც იყო: ექსპლოატატორული, სინამდვილეს მოწყვეტილი, ფართო მასებს დაშორებული, უსულგულო, მექანიკური, გამოიცვალა კაპიტანი, გემი კი ისევ ისე დარჩა — ბურჟუაზიული საკუთრებისა და ექსპლოატაციის საუნჯე—ზომიერი გონებითა და უზომო მესჩანობით — მისი ტრადიციებით, ცრუმორწმუნეობითა და წინარე მორწმუნეობით ბუქსიორზე!

სულ სხვა მოხდა რუსეთში. ოქტომბერმა ძველ სამყაროს ისეთი მეხი დასცა, რომ საუკუნოები უნდა, რომ ის „გონს მოვიდეს“, თუ კი ბურჟუა კოროლების ამ ფოთოლცვენას სამუდამოთ არ გადაჰყვა.

გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უბრალოდ არ აიღო ხელში ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი. ის არ დაკმაყოფილდა დეკორაციის უბრალო გამოცვლით. მან საფუძვლიანად, სამუდამოთ დაამსხვრია ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა, და შექმნა თავისი აპარატი ახალი სისტემის ნიადაგზე. ამომწვარ იქნა ყველა ძირები, რომ-

ლებიც ჩვეულებრივ ასაზრდოებს ბიუროკრატიზმს ძველი მონარქიულ - ბურჟუაზიული სახელმწიფოს სხვა თანდაყოლილ სიმახინჯეს.

ბიუროკრატიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ბუდე დაინგრა, მისი მატარებელი კლასები ფიზიკურადაც განადგურდენ და თუ, მიუხედავად ყოველივე იმისა, ჩვენში მაინც არის ლაპარაკი ბიუროკრატიზმის შესახებ—ეს უნდა აიხსნას ქვეყნის წარსული და დღევანდელი ვითარების უაღრესი თავისებურებით.;

ის ბიუროკრატიზმი, რომელსაც ჩვენს დაწესებულებაში ადგილი აქვს, გენეტიური თვალსაზრისით შეიძლება იყოს ორნაირი: მემკვიდრეობითი და კეთილშეძენილი.

ბიუროკრატიზმი ჩვენ გადმოგვეცა მემკვიდრეობით იმ მოხელეებისაგან, რომლებიც აღიზარდენ თვითმპყრობელი რეჟიმის ტრადიციებზე, ათეული წლების განმავლობაში მუშაობდენ ძველს დაწესებულებებში და ძალაუნებურად შეითვისეს მისი სული და ფორმები. დიქტატურამ ვითომ ეს ხალხი მოარბილა, მოაიშნაურა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულ თანამშრომლებად გახადა, მაგრამ ატავიზმი მაინც იჩენს თავს აქა-იქ და შეიძლება ზოგიერთ შემთხვევებში ახალ ელემენტებზედაც გადავიდეს. თუ ხარი ხართან დაბმული ან ზნეს იცვლის ან ფერსო, ცხადია, მოზვერი ხართან დაბმული უფრო ნაკლებად არის ამ სენისაგან უზრუნველჰყოფილი.

ბიუროკრატიზმის მეორე ისტორიული წყარო არის ფსიქოლოგიური. როცა ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს მონობაში ატარებს, ის ხშირად ითვისებს ბატონის ზნე-ჩვეულებებს, ბატონობის გამხრწნელ ატმოსფერაში ის თვითონ მახინჯდება გონებრივად და ზნეობრივად.

ბატონყმობის დროს ყველაზე საშინელი მოურავები იყვნენ ისინი, ვინც ყმობიდან მოურავის მდგომარეობამდე ავიდა, ვინც წინედ მუხლმოდრეკილი მუშაობდა ბატონისათვის და შემდეგ კი მისი მარჯვენა ხელი გახდა.

მუშათა კლასი, როგორც ასეთი, სენისაგან დაზღვეულია, მაგრამ ასეთი „განხრა“ მის ჩამორჩენილ ფენებში და განსაკუთრებით წვრილ - ბურჟუაზიულ წრეებში სავსებით შესაძლებელია.

გაცილებით უფრო საშიშარი არის მეორე სახის ბიუროკრატიზმი — ბიუროკრატიზმი კეთილ შეძენილი. იყო მოქალაქე, მთელი თავის სიცოცხლეში ებრძოდა ბიუროკრატიზმს, არა ერთი წერილი დაუწერია მის წინააღმდეგ, მას აღელვებდა ბიუროკრატიული უდიერობა, დაუთავებელი „ხვალ“ და საქმისადმი დანაშაული გულგრილობა. მდგომარეობა შეიცვალა. ის თვითონ ჩადგა საქმეში და დღეს თვითონ იჩენს ბიუროკრატიულ თვისებებს, აი სწორედ აქ იწყება ნორჩი სოციალისტური სახელმწიფოსათვის უდიდესი საფრთხე. ასეთი ბიუროკრატი უბოროტესი მტერია სოციალიზმისა და რევოლუციისა.

მართლაცდა განა შეიძლება ძველი რეჟიმის უფრო დიდი გამარჯვება, როცა ამ რეჟიმის ძირითად თვისებებს ცხოვრებაში ატარებს სოციალისტი, პროფესიონალი რევოლიუციონერი, რომელმაც ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინაალმდეგ ბრძოლას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე?

როგორც საერთო მოვლენა ასეთი შემთხვევა შესაძლებლობიდან უნდა იქნეს გამორიცხული, მაგრამ ცალკე მაგალითები აქაც შესაძლებელია და ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ რა ასაზრდოებს ასეთ გადაგვარებას.

პირველი მისი წყარო არის უეჭველად უცოდინარობა, უვიცობა, როცა ადამიანი ხელს კიდებს ისეთ საქმეს რომელშიაც მას „ინჩი-ბინჩი“ არ გაეგება. რა თქმა უნდა, ამ საქმეს ის სასურველად ვერ გაუძღვება, დროზე პასუხს ვერ გასცემს, უეჭველად გააჭიანურებს და ამნაირად ძალა-უნებურად საქმეს ბიუროკრატიული ზეწარი გადაეფარება.

ჟურნალ „საბჭოთა სამართალს“ (№ 2) მოყავს ასეთი ფაქტი: „ქ. თბილისში ერთ-ერთი უბნის სახალხო სასამართლოში წარმოებდა სამოქალაქო საქმე, სულ უბრალო მარტივი, რომელიც ეხებოდა, საკითხს სასამართლოს აღმასრულებელის მიერ აღწერილ ქონებიდან მესამე პირის ქონების აღწერის სიიდან გამორიცხვას. ძიება შეფასებულია 100 მანეთად, საქმე აღძრულია 1924 წელს და დამთავრებულია 20 დეკემბერს 1927 წ.

ამ საქმეზე სასამართლოს სხდომა ყოფილა 18-ჯერ, გადადებული არის 13-ჯერ, არსებითად განხილული არის 3-ჯერ, დარღვეული არის საკასაციო ინსტანციის მიერ 2-ჯერ და ერთხელ საქმე ყოფილა პროკურატურაში.

ამ საქმეზე გამოუტანიათ გადაწყვეტილება—დადგენილება — 20. უწყება გაგზავნილია 88 ცალი, საქმის განხილვაში მონაწილეობა მიულია 149 კაცს. მთელი ეს საქმე სახელმწიფოს დაუჯდა 300 მანეთი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე თვითონ ძიება, არის შეფასებული“. ცხადია, რომ ამ საქმეში მოსამართლე თავიდან ვერ გაერკვა, ამან გამოიწვია უეჭველად საქმის გაჭიანურება და ზედმეტი ხარჯებიი“

ბიუროკრატიზმის მეორე წყარო არის ფუნქციების აღრევა, დაწესებულება თუ მისი ხელმძღვანელი ვერ ეტევა მის საკუთარ ჩარჩოებში, ხელს კიდებს ისეთ საქმეს, რომელიც მას არ ეხება. აქედან არევ-დარევა და საქმის გაჭიანურება.

ხშირად მუშაკი ზედმეტად დატვირთულია, საქმეს თავს ვერართმევს აქედანაც წარმოდგება ხოლმე ბიუროკრატიული საქმიანობა. აუცილებელია ასეთი მუშაკების განტვირთვა.

ზოგიერთს აქვს ასეთი ნაკლიც: ყველაფერი თვითონ უნდა გააკეთოს, კიდებს ხელს ათას საქმეს. ერთი ვერ გაათავა, მეორეს კიდებს ხელს, იმასაც შუა გზაზე ტოვებს და ახალ საქმეს იწყებს. ამნაირათ, ლობე-ყორეს ედება, დორბ - მორეული დარბის და არსებითად არაფერი გამოუდის.

ზოგიერთს იპყრობს სავსებით უპასუხისმგებლობის გრძნობა. თუ ის რომელიმე საქმის სათავეში მოექცა, თავის თავი უცოდველი პაპი გონია. რაც არ უნდა მოუვიდეს თავში, რაც არ უნდა ჩაიდინოს, განმკითხავი არავინ ეგულება. რევოლიუციონური კანონიერება მას ფეხებზე ჰკიდია. ასეთ თავგასულ ხალხს სასტიკად სდევნის ხელისუფლება, მაგრამ ასეთები მაინც არიან. საჭიროა მათ ერთხელ და სამუდამოთ დაიმახსოვრონ, რომ **უკანონობა და უსამართლობა არავის შერჩება.**

**ლეო შენგელაია.**

# საგარეო ვაჭრობის საკითხები

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის აქტუალურ საკითხს ამჟამად ექსპორტი წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა და აქტუალობა ორი მთავარი პირობით აღინიშნება: პირველი იმაში გამოიხატება, რომ ექსპორტი ქმნის ამ აქტიურ ფონდს, რომელიც წარმოადგენს წყაროს უცხოეთიდან მისაღებ საჭირო საქონლის ღირებულების დასაფარავათ. ეს არის, ასე ვთქვათ, კომერციული მხარე. მეორე მთავარი დამახასიათებელი მხარე სამეურნეო ხასიათისაა: ექსპორტის გაძლიერება სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარების მაჩვენებელია. იმდენად, რამდენად ექსპორტი მაღალ საფეხურზე დგას, რამდენად სახალხო მეურნეობას გააჩნია რესურსები თავისი საშინაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ექსპორტისათვის ნაწილის გადასადებად, რათა ამით დაფარულ იქნას საგარეო მოთხოვნილებებიც.—იმდენად საქმე გვექნება ჯანმრთელ

ეკონომიურ ერთეულთან, რაც ცხადია, საერთო სამეურნეო სიმაღლის მაჩვენებელი იქნება.

საქართველოსათვის ექსპორტის საკითხი მით უფრო აქტუალურია, რომ ერთის მხრით ბუნებრივად ის მდიდარია, გააჩნია რესურსები, რომლის უცხოეთის ბაზარზე გასაღება ადვილათ შეუძლია, ხოლო მეორე მხრით— მრეწველობა განუვითარებელი აქვს, რისთვისაც ესაჭიროება საზღვარგარეთიდან მანქანების, აპარატებისა და სხვადასხვა ტეხნიკურ საშუალებათა შემოტნა, რაც მოითხოვს სავალიუტო ფონდს. ხოლო ამ უკანასკნელის შეძენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ჩვენი საქონლის უცხოეთის ბაზარზე გატანით.

ამ დროინდელი ჩვენი საექსპორტო საქმიანობა ვერ არის მაინც და მაინც კარგ პირობებში. მთავარ საექსპორტო მასას ჯერ-ჯერობით იძლევა სამთამადნო წარმოება,სახელდობრ: მარგანეცი, და სასოფლო მეურნეობა. როგორც ვიცით, მარგანეცის ექსპორტი კონცესიონერების ხელშია. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები კი აწარმოებენ ექსპორტს სასოფლო-სამეურნეო საგნებით. სამწუხაროდ, აქ კი ცოტას მოვიკოჭლებთ. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო მეურნეობის მრავალი დარგები ომის წინა დროის დონეს გაუთანასწორდა, და ზოგ შემთხვევაში კიდეც გაუსწრო, საექსპორტო რაოდენობა წლიდან წლობით თითქმის არავითარ პროგრეს არ გვიჩვენებს. პირიქით, ომის წინა წელთან შედარებით, დიდი მანძილით არის ჩამორჩენილი, რასაც შემდეგი ცხრილი ცხადყოფს:

**საქართველოდან გატანილ იქნა:**

1923 წ. 7,9 მილ. მან., ანუ 100 პროც.
1922-23 წ. 1,7 მილ. მან., ანუ 21,5 პროც.
1923-24 წ. 6,6 მილ. მან., ანუ 83,6 პროც.
1924-25 წ. 5,8 მილ. მან., ანუ 74,3 პროც.
1925-26 წ. 4,1 მილ. მან., ანუ 52,0 პროც.
1926-27 წ. 4,5 მილ. მან.. ანუ 57,0 პროც.

გატანის უმაღლეს რაოდენობას გვიჩვენებს 1923—24 წელი. მას შემდეგ ის თანდათანობით კლებულობს. უკანასკნელი ორი წელი სტაბილურ მდგომარეობას გვიხატავს. 1913 წელთან შედარებით თუ ჩერვონულ მანეთს 1913 წლისას დაუპირისპირებთ, 1922—23 წ. ექსპორტი 83,6 პროც. მოგვცემს. დანარჩენი წლები კი ამაზე ნაკლებია. მაგრამ ასეთი შედარება თავის მოტყუილება იქნებოდა. ჩერვონულ მანეთის ყიდვითი უნარი ომის წინა დონეზე შედარებით ნაკლებია. ამიტომ ნაჩვენები პროცენტული შედარება, თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, პროპორციონალურათ დაიკლებს.

რასაკვირველია ამ მოვლენას თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მთელი რიგი საექსპორტო საგნების გატანის შემოკლება. მაგალითად, 1913 წელში გატანილ იქნა 2,8 მილ. მანეთის მარტო სიმინდი, 2,2 მილ. მან. მატყლი, 1,5 მილ. მან. აბრეშუმის პარკი. უკანასკნელ წლებში სიმინდისა და მატყლის ექსპორტი სრულებით შეწყდა, რაც პირველ შემთხვევაში, თუ სიმინდს ვიანგარიშებთ, შინამოხმარების ზრდასა და უკანასკნელი წლების მოუსავლიანობას მიეწერება, ხოლო მატყლის და აბრეშუმის პარკის შემცირება ნაწილობრივ ადგილობრივ მრეწველობის ზრდით აიხსნება. აშკარაა, რომ მაშინ, როდესაც საშინაო მრეწველობის ზრდა საწარმოვო მასალის მოხმარების გადიდებას იწვევს, ხოლო ასეთის შინაური რესურსებიდან დაფარვა შეიძლება,—უცხოეთის ბაზარზე მისი გატანა მიზანშეუწონელი და მავნებელია. ამიტომ ეს მოვლენა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ამის შემეცნება მაინც არ ანთავისუფლებს ჩვენს საქმიანობას უსისტემო ხასიათიდან. უბრალო დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ინდუსტრიალიზაციის განვითარება თავისი საჭიროებისათვის ტეხნიკურ ნედლეულს მოითხოვს, ხოლო მისი დაკმაყოფილება კი აუცილებლად საექსპორტო მასის შემცირებას იწვევს. ამიტომ საჭირო იყო დროიანად იმაზე ფიქრი, რომ სამაგიერო საქონელი გამოსულიყო და ამ გზით მოსალოდნელი დეფიციტი თავიდან აგვეშორებია.

ამ დაუდევრობის შედეგია ის, რომ დღეს ორი მთავარი და ძლიერი ამოცანის წინაშე ვდგევართ. ერთის მხრით—საჭიროა გაძლიერებულ იქნას უკვე არსებული, ძირითადი საექსპორტო საქონლის გატანა, ხოლო მეორეს მხრით კი გამონახული იქნას ახალი რესურსები და მათთვის სარეალიზაციო ბაზრები, რათა ამ გზით აღდგენილ იქნას ერთგვარი წონასწორობა იმპორტის საჭიროებასა და მისთვის შემქნილ ეკვივალენტებს შორის. კიდევ მეტი: საექსპორტო ბრუნვა გადიდებულ-გაზრდილი უნდა იქნას.

1913 წლის საექსპორტო ნუსხაში აღნიშნულია საგრძნობლად დიდი თანხა ხე-ტყის მასალის გატანისა. ასე, მაგალითად, საქართველოდან გატანილ იქნა 1,1 მილ. მანეთის ხე-ტყის მასალა. იმის თქმა ,რომ ხე-ტყის მეურნეობამ საქართველოში 1913 წლის შემდეგ დაიკლო, შეუძლებელია. ჭეშმარიტებაა აგრეთვე ის, რომ სატყეო რესურსები დიდძალი მოგვეპოვება. თითქოს ამ მხრივ უზრუნველყოფილ ერთეულს უნდა წარმოვადგენდეთ. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი გვაქვს. საამშენებლო მასალის მხრით პასიური ბალანსი გვაქვს. ჩვენი საამშენებლო ბაზარი თავის საჭიროების უმეტეს ნაწილს საკავშირო რესპუბლიკებიდან შემოტანილი მასალებით იკმაყოფილებს და ექსპორტი კი, ომის წინა დროსთან შედარებით, საგრძნობლად ჩამორჩენილია. 1,1 მილ. მანეთის წინააღმდეგ 1913 წლისა. ჩვენი ხე-ტყის ექსპორტი 1926—27 წელში არ აღემატებოდა 450 ათას მანეთს. თუ გატანილი მასალების ნუსხას ანალიზს ვუზამთ, დავინახავთ, რომ უცხოეთში მიდის ერთობ ნედლი მასალა, კუნძების, ნაჭრების და სხვა გადაუმუშავებული ხის სახით. აღსანიშნავია, რომ ექსპორტის 60—70 პროც. შეადგენს მარტო ნიგვზის ხე მისი სხვადასხვა ვარიაციებით. დღევანდლამდე ხე-ტყის ექსპორტის მთავარ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ისეთი რესურსების გამონახვა, რომელიც უფრო ადვილათ ხელმისაწდომი იყო და რაც დიდ შრომას არ მოითხოვდა სარეალიზაციო ბაზრების გამოსაკვლევად. ამით აიხსნება ის, რომ მთელი სიმძიმე ნიგოზზე და ბზაზე იყო გადატანილი.

ორი აზრი შეუძლებელია იმის შესახებ, რომ ასეთი საქმიანობა მიუღებელი და მიზანშეუწონელია. საჭიროა ამ საქმის გაჯანსაღება სათანადო ზომების მიღებით, რომ ხე-ტყის მრეწველობამ გაიჩაღოს მუშაობა გადამუშავებული მასალების საექსპორტოთ დასამზადებლად.

აქ შესაძლებელია მიგვითითონ ფინანსიურ დაბრკოლებებზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საექსპორტო პროდუქტის დასამზადებლად სატყეო ტრესტი საჭირო კრედიტს ყოველ მიზეზს გარეშე მიიღებს. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტია იქნება აღებულ მოვალეობის ასრულებისა.

არსებობს მთელი რიგი ფაქტებისა, რომელიც წინააღმდეგს ლაპარაკობს. როგორც, მაგალითად, მცხეთის ხე-ტყის ქარხანა და მისი ისტორია. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის რკვევას, თუ რამდენად მიზანშეწონილად იყო აღნიშნული ქარხნის ადგილ-მდებარეობა ამორჩეული. გვინდა მხოლოდ სურვილი გამოვსთქვათ, რომ სატყეო ტრესტმა და პირველ ყოვლისა სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ზომები მიიღოს, რომ მცხეთის ქარხანამ ბოლოს და ბოლოს შეუდგეს თავის დანიშნულების ასრულებას.

ხე-ტყით საექსპორტო პრობლემა ამით არ იწურება.

არსებობს მთელი რიგი ძირითადი საექსპორტო საგნებისა, რომელთა განხილვა დაგვანახვებს, რომ შესაძლებლობა დიდია, თუ საქმე რაციონალურ ნიადაგზე დადგება.

ამჟამად მეორე პრობლემა. სახელდობრ. საექსპორტოთ ახალი პროდუქტების გამონახვა, ანუ ეგრედწოდებული მცირე მნიშვნელობის საექსპორტო საქონლის საკითხი, კიდევ უფრო აქტუალურია. მაგრამ ამას შემდეგ დაუბრუნდებით.

**ი. ნარსია.**

# რა იყო და რა არის

ოქტომბრის რევოლიუციამ აუცილებელი გახადა საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მხარეების საფუძვლიანი გადასინჯვა-გადაკეთება და მისი ახლ საფუძველზე დაყენება.

მონარქიული რუსეთის ერთ-ერთ ციხე სიმაგრეს მაშინ არსებული სახალხო განათლების სისტემა წარმოადგენდა ყოველგვარი კულტურული დაწესებულება და, პირველ რიგში, სკოლა თვითმპყრობელობის ხელში წარმოადგენდა საუკეთესო იარაღს გაბატონებული კლასების პოლიტიკის გასატარებლად.

ძველი სკოლა ერთგულ მოხელეებს უზრდა თვითმპყრობელურ რუსეთს. მოქალაქობრივ აღზრდა-განვითარებაზე სკოლის კედლებში ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული მცირე ეროვნებათა სკოლები. ეს სკოლები გადაქცეული იყვნენ გარუსების, შოვინიზმის გამღვივებელ და ერთა შორის მტრობისა და სიძულვილის მთესველ იარაღად. აბუჩად იყო აგდებული და იდევნებოდა სამშობლო ენა, დაჩრდილული იყო ეროვნული კულტურა.

ამგვარად, ოქტომბრის რევოლიუციამ, სრულიად ბუნებრივად, ძლევამოსილ პროლეტარიატის წინაშე რევოლიუციონურ-პოლიტიკურ ამოცანების გვერდით ასეთივე სიმძიმითა და კატეგორიულობით წამოაყენა კულტურულ რევოლიუციის საკითხი.

საბჭოთ ხელისუფლებას უნდა ძირ-ფესვიანად ამოეგლიჯა ყოველივე, რაც ხელს უშლიდა მშრომელი ხალხის განვითარების საქმეს. პირველ რიგში საჭირო იყო ძველი სკოლის ნანგრევებზე ახალი სკოლის აშენება, რომელიც მოუმზადებდა რევოლიუციონურ პროლეტარიატს ერთგულ შვილებს და ახალ ძალებს შემატებდა რევოლიუციას.

ამ საკითხის დაძლევა არც ისე ადვილი საქმე იყო. მაგრამ, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საბჭოთა კავშირის მიღწევებს ამ დარგში ათი წლის თავზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ისეთი ღრმა რევოლიუცია მოახდინა და ისეთი სისწორით დაამუშავა ის, რომ დღეს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების უარისყოფა კულტურულ ფრონტზე თვით ბურჟუაზიულ კალმოსნებსაც არ ძალუძთ.

ამ წერილში, ჩვენი მიზანია გავაკეთოთ მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ რა გაკეთდა სახალხო განათლების დარგში და კერძოთ სკოლის განახლების საკითხში საქართველოში დღიდან გასაბჭოებისა ე. ი. 7 წლის განმავლობაში.

მართალია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავ გამოცემებში ნათლად იყო დასურათხატებული საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები, როგორც სხვა, ისე განათლების დარგშიც, მაგრამ ჩვენ მიერ ქვემოდ მოყვანილ სტატისტიკურ ციფრებით ერთხელ კიდევ გვინდა ავღნიშნოთ, რომ მენშევიკური არმია, მისი მუშურ-გლეხური ნაწილი და მშრომელი ინტელიგენცია თვალდახუჭული კი არ მისულა საბჭოა ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ, არამედ ურყევმა ფაქტებმა, კულტურულ-ეკონომ. ფრონტებზე თანამიმდევარ გამარჯვებებმა, სოციალ-ეკონომიურ ვითარებათა ღრმა ანალიზმა აიძულეს ის უარეყო ძველი გზა და დამდგარიყო ახალ გზაზე, ეცნო რევოლიუცია და მისი სიდიადე.

ეხლა შევადაროთ სახალხო განათლების მდგომარეობა ზოგადათ და სკოლის საკითხი კერძოთ საქართველოს გასაბჭოებამდე და მას შემდეგ როგორც ვიცით, მენშევიკების დროს სკოლის სისტემის რეფორმა მხოლოდ სკოლების გაეროვნებაში და სწავლება სამშობლო ენაზე შემოღებაში გამოიხატებოდა. სხვა რადიკალური ცვლილება, რომლითაც ახალი სკოლა უნდა განსხვავებულიყო ძველ სკოლისაგან, არ მომხდარა.

ავიღოთ კონკრეტიულად სასკოლო ქსელისა და თვით სკოლის შინაარსის შედარება.

გასაბჭოებამდე საქართველოში არსებობდა 2—3 საბავშო ბაღი —215 ბავშვითა და 27 აღმზრდელით.

ამჟამად არსებობს (ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით) 65 საბავშო ბაღი 4,000 ბავშთა და 5 კერა 520 ბავშვით — აღზზრდელთა რიცხვი უდრის 207.

ამჟამად საქართველოში არსებობს 101 გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა. ამ სკოლებს საქართველოში, როგორც სასოფლო - სამეურნეო ქვეყანაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ზოგად განმანათლებელ ცოდნასთან ერთად, ეს სკოლები იძლევიან გლეხობისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ცოდნას. საქართველოს გასაბჭოებამდე არავითარი ამის მსგავსი არ არსებობდა.

გადავიდეთ საშუალო სასწავლებლებზე.

საქართველოში გასაბჭოებამდე არსებობდა რამოდენიმე გიმნაზია, რომელიც ძლიერ დაშორებული იყო ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათაგან. გიმნაზიების ადგილას დღეს ჩვენ გვაქვს 9-წლედები. ესენიც ისეთივე ზოგად-განმანათლებელ სკოლებად ითვლებიან, როგორიც გიმნაზიები იყვნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება იმდენად დაუახლოვდა სკოლა ხალხს და მის მოთხოვნილებებს, რომ 9-წლედების სამოსწავლო გეგმაში და პროგრამაშიც იქნა ამ უკანასკნელად შეტანილი პროფესიონალური განხრა იმ რაიონის კულტურულ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა მიხედვით, რომელშიაც სკოლა არსებობს. ამგვარად ჩვენ გვაქვს ცხრაწლედები შემდეგი განხრით: პედაგოგიურით — 20, სასოფლო-სამეურნეო — 11, ადმინისტრატიულით — 10, კოოპერატიულით — 16, პოლიტ-განმანათლებელით — 5 და ელექტრო-ტეხნიკური განხრით — 2 — სულ 64.

ეხლა გადავიდეთ, წმინდა პროფტეხნიკურ სკოლებზე. გასაბჭოებამდე არსებობდა რამოდენიმე დაბალი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სკოლა და ერთიც საშუალო კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი.

ამჟამად არსებობს 35 სპეც-ტეხნიკუმი: პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-ეკონომიური, ინდუსტრიალური და ქიმიური. ეს სასწავლებლები ამზადებენ საშუალო ცოდნის სპეცებს აღნიშნულ დარგებში:.

მენშევიკურ საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მუშათა ფაკულტეტი. საბჭოთა საქართველოში დღეს არსებობს, 4 მუშფაკი,1812 მსმენელი. გასაბჭოებამდე არ არსებობდა არც ერთი საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, ამჟამად კი არსებობს 6 სკოლა — 515 მსმენელით.

წერაკითხვის სალიკვიდაციო პუნქტი, გასაბჭოებამდე არსებობდა 101 — 1010 მსმენელით, ამჟამად არსებობს 1496 პუნქტი — 44925 მსმენელით.

როგორც ვიცით, მენშევიკურ ხელისუფლების დროს საშუალო და მით უმეტეს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენდენ,

არა მუშური და გლეხური ელემენტები. ღარიბთათვის არც ისე ადვილი მისაწვდომში იყო სკოლა. საინტერესოა როგორი ცვლილება მოხდა მოსწავლეთა სოციალურ შემადგენლობაში გასაბჭ. შემდეგ.

**საშუალო სასწავლებლებში:**

| | |
|---|---|
| გლეხის შვილები | 71,3 პროც. |
| მუშის | 9,4 “ |
| მოსამს. შვილები | 9,2 “ |
| დანარჩენების | 10,1 „ |

**მუშფაკებში:**

| | |
|---|---|
| მუშები | 35,9 %. |
| გლეხები | 58,1 „ |
| მოსამსახურები | 2,5 „ |
| სხვები | 3,5 „ |

გასაბჭოების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვს მოემატა სამხატვრო აკადემია 152 მსმენელით და ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტი.

**სტუდენტთა სოციალური შემადგენლობა:**

| | |
|---|---|
| გლეხებია | 63,5 %. |
| გლეხები | 14,3 „ |
| მოსამსახურეები | 11,2 „ |
| სხვები | 11,0 „ |

თბილისის ალმასკომი ამჟამად ორ დიდ სახლს აშენებს სპეციალურად ღარიბ სტუდენტთა ბინებისათვის.

ორიოდე სიტყვა მასწავლებელთა მდგომარეობაზე:

მსოფლიო რევოლ. ბელადი ლენინი სწერდა: „სახალხო **მასწავლებელი ჩვენ უნდა ავიყვანოთ იმ სიმაღლეზე, რომელზეც ის არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც იქნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.** ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. ეს მდგომარეობა კი, ჩვენ უნდა შევქმნათ სისტემატიურ, დაჟინებითი მუშაობით, როგორც მისი სულიერი ამაღლებისა, ყოველმხრივ მომზადების საქმეში, ისე მატერიალურ მდგომარეობის საკითხში“-ო.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ სცდილობს მასწავლებლობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, თანახმად ლენინის ანდერძისა, მაგრამ ჩვენს პირობებში ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება. შედარებით — მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა თითქმის, ყოველწლობით უმჯობესდება, მაგრამ ჯერ მაინც ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი.

საკავშირო ცაკისა და მთავრობის უკანასკნელი დადგენილებით მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და ხელფასის მომატების საკითხი უახლოესი დროის ამოცანაა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი გაკეთებულია, ან რაც გაკეთდა ყველაფერი უნაკლოთაა გაკეთებული, მაგრამ განა საბჭოთა ხელისუფლების დღევანდელი მიღწევები, როგორც სხვა, ისე კულტურულ ფრონტზე, არ ამტკიცებს იმას, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული განვითარების საქმე საიმედო ხელშია?

ამას დღეს ქვანიც ღაღადებენ.

მხოლოდ ურწმუნო თომებს, სულითა და ხორცით დეგენერატებს შეუძლიათ ეს არ დაიჯერონ.

**ა. ჩაჩუა.**

# ყოფ. ახალგ. მარქსისტთა განყოფილება

## მორიგი ამოცანები

დღეს საბჭოთა საზოგადოებრივობის პირობებში, უდავოა ის ფაქტი, თუ როგორი ძლიერი ტემპით ვითარდება მშრომელი ხალხის კულტურული და მატერიალური შესაძლებლობანი. ეკონომიკის სოციალისტური საფუძვლებზე გადასვლით ჩვენი ქვეყანა დაადგა აღორძინების და აყვავების გზას ეს ყოველივე შედეგია იმ გიგანტიურ ბრძოლის, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოებრივი წესწყობილების დაუძინებელი მტერი,—მენშევიზმი და მასთან მსოფლიო ბურჟუაზია, რომელიც საბჭოთა კავშირში ხედავს იმ ძალას, რომელიც საბოლოოდ მათაც მოუღებს ბოლოს რევოლიუციონურ ბრძოლის ნიადაგზე. ცდილობენ ჩაკლან მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენი მუშათა კლასის ბრძოლა სამშვიდობოზეა, მისი გამარჯვება ისტორიულად აუცილებელია.

ჩვენ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები, რომლებიც ასობით აერთიანებს ახალგაზრდობას, მტკიცეთ ვდგევართ მუშათა კლასთან და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიასთან. ეს გარემოება—კი ბევრ რამეს გვავალებს და გადაუდებელ მოთხოვნილებებს აყენებს ჩვენს წინაშე: როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევების სიმაღლეებზე.

ჩვენი ორგანიზაციების მთავარ ამოცანას, რომელიც საფუძვლათ უდევს ამ ორგანიზაციების მუაშობას, არის სასტიკი ბრძოლა არალეგალურ მენეშვიკურ ორგანიზაციების წინაალმდეგ, მისი საბოლოო დაშლა, გამოფხიზლება იმ ახალგაზრდობის, რომლებიც ჯერ კიდევ შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მენშევიზმის ზეგავლენით კონტრ-რევოლიუციის ჭაობშია მოქცეული გამოყვანა მათი ამ ჭაობიდან და რევოლიუციონურ მუშათა კლასის რიგებში ჩაბმა.

ყოფ. მარქსისტთა ორგანიზაციებს ეს ამოცანა კარგად უნდა ქონდეს გარკვეული. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა, მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი თუ ჩვენ ამ ბრძოლის ასპარეზზე ძლიერი ვიქნებით იდეურათ, თუ ჩვენ ლენინიზმის საფუძვლებს ღირსეულათ შევითვისებთ, თუ საფუძვლიანათ შევისწავლით რუსეთის რევოლიუციის განვითარების ყველა ეტაპებს და მასთან დაკავშირებით ღრმა ანალიზს გაუკეთებთ მენშევიზმის ბუნებას, გავცხრილავთ მას იმ გამოცდილებაში, რომელიც მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ და მტკიცეთ ვიდგომებით საბჭოთა ხელისუფლების პლათფორმაზე.

ეს მოთხოვნილება, რომელსაც დღეს ჩვენ ცხოვრება გვიყენებს, იმდენათ დიდ მნიშვნელოვანია, რომ ამაზეა დამოკიდებული ნაწილობრივ ჩვენი შემდეგი მუშაობის ნაყოფიერება. თუ ჩვენ ორგანიზაციების მთავარი ამოცანის განაღდება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში შემავალ ახალგაზრდობის იდეურ გადახრაზეა დამოკიდებული, აქედან უდავოა ისიც, რომ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები ამთავითვე უნდა შეუდგენ ახალგაზრდობის გათვითცნობიერებას, მათ შორის აღმზრდელობით მუშაობას, რისთვისაც საჭიროა პრაქტიკაში შემოღებულ იქნეს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა მასიურ კრებებზე პოლიტიკური ხასიათის მოხსენებები ხშირათ ჩატარება, რასაც უეჭველათ აქტიური მნიშვნელობა ექნება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდების გადამზადების საქმეში აგრეთვე შეძლების ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოთ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების მთლიან პოლიტ - განათლების სისტემაში ჩაბმას. ამ გზით ჩვენ შევსძლებთ გავამაგროთ იდეურათ ჩვენი ორგანიზაციები და მათი ბრძოლის უნარიანობა გავზარდოთ.

II.

მენშევიზმი ჯერ კიდევ სუნთქავს. ემიგრაცია კიდევ აგრძელებს თავის ჩხირ-კედელაობას. ის კიდევ ატყუებს ზოგიერთ ახალგაზრდას თავის მაცდუნებელ ქსელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ჯერ

კიდევ ახერხებს თავის უკბილო წერილებით მიიზიდოს ახალგაზრდობა. ამ წერილებში გადამახინჯებულათ იძლევა ჩვენი სოციალისტურ აღმშენებლობის სინამდვილეს. ის ახალგაზრდობა, რომლებიც საფუძვლიანათ არ იცნობს საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტურ აღმშენებლობას, არ იცნობს მის ხასიათს და პერსპექტივებს ადვილათ ებმება, იჩეხება მენშევიზმის უფსკრულში და სწორედ აქეთკენ უნდა მიაპყრონ მთავარი ყურადღება ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებმა. მაგრამ, სანამ ჯერ კიდევ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში გაერთიანებული ახალგაზრდობა მტკიცეთ არ არის იდეოლოგიურათ დარაზმული, მჭიდრო შეკავშირებული მარქსიზმი — ლენინიზმის ძირითადი პრინციპების ნიადაგზე, მათი მუშაობა ნაწილობრივ გაურკვევლობის, მერყეობის ნიშნებით ხასიათდება, რისთვისაც ამ ორგანიზაციების მუშაობა სავსებით არ არის გამართლებული.

ამიტომ საჭიროა ჩატარდეს დაკვრითი წესით პოლიტიკური ხასიათის მუშაობა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის. პოლიტიკურ ხასიათის თემებზე მოხსენებებით, პრესის და სხვა პრაქტიკული ღონისძიებების ნიადაგზე ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში შემავალი ახალგაზრდობა უნდა დაუახლოვოთ საბჭოთა საზოგადოებრივობას, გავაცნოთ მისი განვითარების გზები და ამით ხელი შევუწყოთ მათი იდეოლოგიურათ ჩამოყალიბების საქმეს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ახალგაზრდობისათვის მენშევიზმის იდეოლოგიის ბუნების და ხასიათის უფრო ნათელსაყოფათ, რისთვისაც ხშირათ უნდა კეთდებოდეს მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე.

მარქსისტთა ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდათა შორის ზემოჩამოთვლილ საკითხებზე მასიური მუშაობის ჩატარებით ახალგაზრდობას ჩვენ შევაიარაღებთ ცოდნით და გამოცდილებით, ხოლო მენშევიზმს ჩვენში საბოლოოთ წავართმევთ უკანასკნელ დასაყრდენს — ახალგაზრდობას.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების აღზრდა—გათვითცნობიერების საქმეში უდავოა დიდ სამსახურს გაგვიწევს პრესა, პრესა ფართედ უნდა იქნას გამოყენებული ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა დარაზმვის, მათი იდეურათ მომზადების და გაწრთვნის საქმეში.

განსაკუთრებით ჩვენი ორგანიზაციების აქტივმა, რომელიც ეწევა მუშაობას ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის უნდა გამოვიდეს პრესაში და წაახალისონ აქეთკენ ორგანიზაციებში ჩაბმული ახალგაზრდობაც.

უნდა იწერებოდეს უმთავრესათ პოლიტიკური ხასიათის წერილები, წერილები საბჭოთა საზოგადოებრიობის საკითხებზე და მენშევიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლის შესახებ.

ნ. ჯულელი.

# თბილისის აღმასკომის მუშაობა

IV.

## საბჭოს მასიური მუშაობა

მე-6 მოწვევის საბჭოს არჩევნებში მშრომელთა მასებმა უფრო ფართო მონაწილეობა მიიღეს, ვიდრე წინა არჩევნებში. ხსენებულ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი უდრიდა — ქალაქში (ჯარის გამოკლებით) 149.209-ს, ხოლო მაზრაში—83.463-ს.

საბჭოში არჩეული იქნა ქალაქში — 970 წევრი, მაზრაში — 1.676 წევრი.

მე-5 მოწვევის საბჭოსთან შედარებით, მე-6 საბჭოს წევრთა შემადგენლობა შემდეგნაირად შეიცვალა.

### იყო წევრი ქალაქში

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| მამაკაცი | 83,5 პროც. | 85,4 პროც |
| დედაკაცი | 16,5 პროც. | 14,6 პროც. |

### მაზრაში

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| მამაკაცი | 91,1 პროც. | 90,1 პროც. |
| დედაკაცი | 8,9 პროც. | 9,9 პროც. |

### პარტიული მიმართულების მიხედვით

### ქ ა ლ ა ქ შ ი

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| კომპარტიის წევრი და კანდიდატი | 59,9 % | 59,3 % |
| კომკავშირელი | 5.9 % | 4,3 % |
| უპარტიო | 34,2 % | 36,4 % |

### მ ა ზ რ ა შ ი:

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| კომპარტიის წევრი და კანდიდატი | 20,4 % | 26,8 % |
| კომკავშირელი | 6,0 % | 8,2 % |
| უპარტიო | 72,6 % | 65,0 % |

### სოციალური მდგომარეობის მიხედვით

### იყო წევრი ქალაქში

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| მუშები | 59,5 პროც. | 60,1 პროც. |
| მოსამსახ. | 34,1 პროც. | 31,3 პროც. |
| დანარჩენნი | 6,4 პროც. | 8,6 პროც. |

### მაზრაში

| | მე-5 მოწვევის საბჭოში: | მე-6 მოწვევის საბჭოში: |
|---|---|---|
| გლეხი | 76,7 პროც. | 72,6 პროც. |
| მუშა | 3,5 პროც. | 3,4 პროც. |
| მოჯამაგირე | 0,6 პროც. | 1,0 პროც. |
| მოსამსახურე | 19,1 პროც. | 20,3 პროც. |
| შინა მრეწ. და ხელოს. | 0,1 პროც. | 1,6 პროც. |
| წითელარმიელი | — | 1,1 პროც. |

აღნიშნულ ცხრილიდან ჩანს, რომ მუშების რიცხვი ქალაქის საბჭოში 0,6 პროც.-ით გაიზარდა, ხოლო მოსამსახურეთა რიცხვი 2,8 პროც.-ით შემცირდა. მაზრაში გლეხების რიცხვი შემცირდა 4,1 პროც.-ით, სამაგიეროთ გაიზარდა: მოჯამაგირეების რიცხვი — 0,4 პროც.-ით, მოსამსახურეების რიცხვი — 1,2 პროც.-ით და შინამრეწველთა რიცხვი — 1,5 პროც.-ით. უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ მე-6 მოწვევის საბჭოში ქალაქში უპარტიოთა რიცხვი გაიზარდა — 2,2 პროც.-ით, ხოლო მაზრაში დაიკლო — 7,6 პროც.-ით.

**საბჭოს პლენუმის მუშაობა.** საბჭოს სხდომები რეგულიარულად ეწყობოდა. 9 თვის განმავლობაში პლენუმის სხდომა 13-ჯერ გაიმართა. ამ სხდომებზე გარჩეულ მრავალ სხვა საკითხებ შორის აღსანიშნავია: 1. ბიუჯეტის განხილვა, 2. საბინაო საკითხი, 3. ადგილობრივი მრეწველობის განვითარების 5-წლიანი საპერსპექტივო გეგმა, 4. კომუნალური მეურნეობა, 5. ახალი წყალსადენი, 6. დისპანსერების მუშაობა, 7. საბჭოს მასიური მუშაობა, 8. ავეჯეულობის ფაბრიკის აგება, 9. ფასების დაკლება, 10. ტრამვაის მუშაობა.

სხდომებზე დასწრების საშუალო პროცენტია—51,4, მაშინ, როდესაც გასულ წელს ასეთი პროცენტი მხოლოდ — 27,2-ს უდრიდა. საკითხების გარჩევის დროს საბჭოს წევრები სათანადო აქტივობას იჩენდნენ.

## პრეზიდიუმის მუშაობა

საანგარიშო წლის განმავლობაში პრეზიდიუმს ჰქონდა — 35 სხდომა, რომელზედაც გაირჩა — 423 საკითხი. აქედან: 1) სამეურნეო — 82, 2) საფინანსო—105, 3) საორგანიზაციო — 63, 4) კეთილ - მოწყობის—

47, 5) კულტურულ-განათლების — 27, 6) ჯანმრთელობის — 22, 7) სხვადასხვა ხასიათის—77.

**ხარჯების შემცირება** საანგარიშო წელს, პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, მოხდა ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება, რამაც თბილისის საბჭოს რამდენიმე ათეული ათას მანეთები შეუნარჩუნა.

## სექციების მუშაობა

საბჭოსთან არსებობს 5 სექცია: 1. კომუნალური, 2. განათლებისა, 3. ჯანმრთელობისა, 4. სავაჭრო—კოოპერატიული და 5. საფინანსო. სექციების მუშაობაში ჩაბმული იყო საბჭოს შემადგენლობის 88 პროცენტი. სექციებზე დასწრების პროცენტი საანგარიშო წელს 61-ს უდრის, წინააღმდეგ წინა მოწვევის 32 პროცენტისა.

სექციების მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ კომისიების მუშაობა, რომლებიც სხვადასხვა სექციების მიერ წლის განმავლობაში გამოყოფილ იყვნენ საყურადღებო საკითხების გამოსარკვევად და შესასწავლად. ხსენებული კომისიების მთელმა რიგმა გამოკვლევამ საბჭოს წევრებს საშუალება მისცა გასცნობოდნენ არა მარტო ამა თუ იმ წარმოების მუშაობას, არამედ მის მიღწევებს და უარყოფით მხარეებსაც.

გარდა ამისა, სექციები ახდენდენ საბჭოს წევრთა მიმაგრებას წარმოებებზე, სადაც ამხანაგები ეცნობოდენ წარმოების მუშაობას და შემდეგ შესაფერ მოხსენებას აკეთებდენ ამ მუშაობის შესახებ სათანადო სექციაში.

წარსული წლის ნოემბერში საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა სექციების მუშაობის გამოკვლევა. გამოკვლევის შემდეგ გამოტანილ იქნა პრაქტიკულ წინადადებათა მთელი რიგი. ამ ღონისძიებებით სექციების მუშაობა უფრო გაცხოველებული ტემპით იწარმოებს და მუშაობაში საბჭოს წევრთა უფრო მეტი რიცხვი მიიღებს მონაწილეობას.

**კავშირი ამომრჩევლებთან.** ამომრჩევლებთან უფრო მეტი დაახლოების მიზნით თბილისის საბჭომ შემოიღო დეპუტატთა მაგიდები, რომელნიც პირველ ხანებში უფრო დიდ წარმოებებში მოეწყო. ხსენებულ წარმოებებში შემოღებულ იქნა დეპუტატთა მორიგეობა დღეში ერთი საათით. ასეთივე ყოველდღიური მორიგეობა იქნა შემოღებული აღმასკომის პრეზიდიუმში, სადაც აღმასკომის წევრები მორიგეობენ ყოველდღიურად საღამოს 5—8 საათამდე. აგვისტოში, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში, ჩატარებულ იქნა ამომრჩევლებისადმი ანგარიშების ჩაბარება. საბჭოს აპარატის მუშათა უბნებთან დაახლოვების მიზნით გახსნილ იქნა ორი სალარო, სადაც სწარმოებს ადგილობრივი და სახელმწიფო გადასახადების და აგრეთვე სინათლის და სხვა კომუნალური დახმარების საფასურის მიღება.

**საბჭოზე მიმაგრებული მუშათა აქტივი.** საანგარიშო წელს საბჭოს მუშაობაში ფართო აქტივის ჩაბმას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომაც აქტივი საბჭოს პლენუმს ნაკლებად ესწრებოდა და საერთო მუშაობაში მონაწილეობას ვერ ღებულობდა. ამ მდგომარეობას საბჭომ მიაქცია ყურადღება და დეკემბრის 13-ს მოწვეულ იქნა აქტივის კრება, რომელზედაც გაკეთდა მოხსენება საბჭოს მუშაობის, ამოცანებისა და კერძოთ ამ მუშაობაში აქტივის მონაწილეობის მიღების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში მდგომარეობა გაუმჯობესდება და თბილისის მშრომელი მასები ქალაქის საბჭოს მუშაობაში თავისი აქტივის სახით უფრო ფართო და ცხოველ მონაწილეობას მიიღებენ.

**ქალთა მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში.** მე-6 მოწვევის საბჭოში არჩეულ იქნა 142 ქალი. საერთოდ, ქალთა მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში სუსტი იყო. სექტემბერში მოწვეულ იქნა საბჭოს დეპუტატ-ქალების თათბირი, რომელმაც პრაქტიკული ღონისძიებანი დასახა მომავალი მუშაობის გასაძლიერებლად. საბჭოს მუშაობაში ქალების სუსტად ჩაბმას ყურადღება უნდა მიექცეს მიმდინარე არჩევნების დროს და თავიდანვე უნდა იქნეს მიღებული საჭირო ზომები.

**საბჭოს მუშა - წევრების დანაწილება.** უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს მუშაობა ამ დარგშიაც მოისუსტებდა. დეკემბერში საბჭოს პრეზიდიუმმა პრაქტიკულად დააყენა ეს საკითხი და მიზნად დაისახა უახლოეს ორი თვის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოეყენებია არა ნაკლებ 10 მუშისა. ეს დადგენილება უკვე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

**აპარატის რაციონალიზაცია.** საბჭოს აპარატის რაციონალიზაციის მოსახდენათ დაარსებულ იქნა რაციონალიზაციის ბიურო, რომელმაც თავისი მუშაობა გასული წლის 1 აპრილიდან დაიწყო. ცხრა თვის განმავლობაში რაცბიურომ საბჭოს 11 დაწესებულებაში ჩაატარა სტრუქტურული და ოპერატიული ხასიათის მუშაობა, იმის და მიხედვით, თუ რომელ ნაწილს რა სახის მუშაობა ესაჭიროებოდა.

რაცბიუროს მუშაობით საგრძნობლად გამარტივდა და უფრო ელასტიური გახდა მომქმედი აპარატი. აპარატის სრული რაციონალიზაციის შედეგათ აუცილებლად მივიღებთ ბიუროკრატიულ განხრების ლიკვიდაციას. ბიუროკრატიზმის სრულიად აღმოსაფხვრელად, ახალ საბჭოსაც დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდება, ვინაიდან, როგორც საერთოდ, ისე თბილისის საბჭოს ორგანოებში, ამ სენს ჯერ კიდევ აქვს ფესვები გადგმული.

**შ. გომართელი.**

# ეროვნულ თეატრის აღორძინება*)

## I.

მოსკოვის ჟურნალში („Новый Зритель“ № 50), ა. ილინსკი—ბლიუმენაუ ეხება აღმოსავლეთის ხალხთა თეატრებს და ამბობს, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ეროვნულ უმცირესობებს აქვთ საკუთარი თეატრები, მაგრამ ეს თეატრები ეროვნული თეატრები კი არ არიან, არამედ თეატრები—ეროვნულ ენებზე. შემდეგ წერილის ავტორი მიგვითითებს გზას ეროვნულ თეატრის შესაქმნელად და გვეუბნება, რომ ეროვნულ თეატრის ერთად-ერთი ხსნა არის მის ორიგინალურ რეპერტუარში. თანამედროვე ყოფა-ცხოვრების და ისტორიული თემებზე დაწერილ პიესებში.

ა. ილინსკი—ბლიუმენაუს მიერ წამოყენებული საკითხი, დღეს მეტად მწვავედ სდგას ქართულ თეატრის წინაშეც.

ქართული თეატრი დღეს სწორედ ისეთ კრიზისის წინაშე სდგას, რა კრიზისის შესახებაც ლაპარაკობს ილინსკი—ბლიუმენაუ. განგებ თვალებს ნუ ავიხვევთ, საგანს თავისი სინამდვილით შევხედოთ და გადაჭრით ვთქვათ: არა. არა გვაქვს ეროვნული თეატრი.

მე ამის შესახებ, იქნება ვინმემ მითხრას; როგორ თუ არა გვაქვს თეატრი? მაშინ, როდესაც მთავრობა ამდენს უამრავ ფულებს ხარჯავს, როდესაც ასე მდიდრულად მორთული წარმოდგენები იდგმება, ნუ თუ შეიძლება ითქვას: თეატრი არ გვაქვსო?

მართალია, ხელისუფლება ქართულ თეატრის ასაყვავებლად იმდენს ფულს ხარჯავს, რამდენსაც ქართული თეატრი წინად სიზმარშიაც ვერა ნახავდა, ისიც მართალია, რომ ქართულ თეატრს ასეთი მდიდრული დეკორაციები, რეკვიზიტი, ტანსაცმელი და ბევრი სხვა აქსესუარიც არასოდეს არ ჰქონია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენი თეატრი—ეროვნული თეატრი მაინც არ არის.

*) იბეჭდება დისკუსიის წესით.

რეჟ

ამაზე შეიძლება მიპასუხონ: ქართული თეატრი თავის დღეში არც ყოფილა ეროვნულიო.

ეს მართალი არ არის. ჩვენ გვქონდა ნამდვილი ეროვნული თეატრი! გიორგი ერისთავის თეატრი, განა ეროვნული თეატრი არ იყო? კიდევ მეტიც. ქართული თეატრის ისტორია გ. ერისთავის ხანიდან არ იწყება, მას უფრო ბევრად შორეული წარსული აქვს, მაგრამ ერისთავის დრო მაინც ქართულ თეატრის ისტორიაში აღინიშნება, როგორც დრო მუდმივ ქართულ ეროვნულ თეატრის დაარსებისა.

გ. ერისთავმა აღადგინა ქართული თეატრი, შეაერთა გაწყვეტილი ძაფი ძველ ქართულ ეროვნულ თეატრთან და მჭიდრო საძირკველი ჩაუყარა მუდმივ ქართულ სცენას.

როგორი იყო ძველი ქართული თეატრი, საიდან იწყებს თავის არსებობას, ირაკლი მეფის თუ არჩილ მეფის დროიდან? რადგან არის ცნობები, რომ გ. ავალიშვილის და დ. ჩოლოყაშვილის მიერ ნათარგმნ პიესების და წარმოდგენების (1760—1794 წლების პერიოდის) ადრე არჩილ მეფის დროს ყოფილა „თეატრონი“ რომლის არსებობაზე დღეს მეტად ბუნდოვანი წარმოდგინა გვაქვს, მაგრამ ჩვენ კიდევ, ქართულ ეროვნული თეატრის საწყისს, გაცილებით უფრო შორეულ ეპოქაში ვხედავთ.

ქართველ ხალხს ძველად ჰქონდა ხალხური დღესასწაული, ეს იყო ყეენობა, ეს იყო ჩვენი პირველყოფილი, ორიგინალური და ეროვნული თეატრი.

ამ საკითხს ჩვენში პირველად შეეხო რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, მაგრამ ეს საკითხი მან გაკვრით წამოაყენა და არ გაუშუქებია. არც მე ვკისრულობ მის დეტალურად გაშუქებას, მაგრამ ფრიად საჭიროდ კი მიმაჩნია, რომ ეს საკითხი მოკლეთ მაინც აღვნიშნო და ვთქვა, რომ ყეენობას, საქართველოს ამ დიდებულ კარნავალს, ქართულ თეატრის ისტორიაში ისეთივე ადგილი უნდა მივაკუთნოთ, როგორადაც „კომედია დე-ლა არტე“ს იტალიის თეატრში.

ამ უკანასკნელსა და ჩვენ ყეენობას რომ ჩაუკვირდეთ, მათ შორის, უსათუოდ დიდ მზგავსებს ვიპოვით.

„კომედია დე-ლა არტე“—იყო იმ პროვიზაციის თეატრი. მისი შემოქმედებითი ასპარეზი იყო ქუჩები და მოედნები. ამ ქუჩებზე, იტალიელთა კომედიანტები, რომელნიც უფრო კლოუნებს წააგავდნენ ვიდრე ნამდვილ არტისტებს, სხვადასხვა გაკეთებულ ნიღბებით გაითამაშებდნენ ხოლმე თავიანთვე მიერ შეთხზულ სცენებს. ხშირად ამ სცენებს იტალიელთა კომედიანტები იმდენად არტისტულად და მხატვრულად ასრულებდენ, რომ ბოლოს მით შეჰქმნეს თეატრალური ტრადიციებიც კი და „კომედია დე-ლა არტე“-ც დიდ ხანს დამკვიდრდა როგორც ნამდვილი თეატრი.

რასაკვირველია, ყეენობას ჩვენში ასეთი რამ არაფერი შეუქმნია, მაგრამ მას მაინც დიდი მზგავსება აქვს იტალიელთა ნიღაბების გამოსვლებთან და როგორც სანახაობა, ყეენობა შეიძლება, მაღლა იდგეს „კომედია დე-ლა არტე“-ზედაც.

ყეენობა, ჩვენში წარმოშობილია პოლიტიკურ ნიადაგზე და ამავე დროს იგი ატარებდა წარმართულ სადღესასწაულო პანტომიმის ხასიათს და მას,როგორც ასეთს, სავსებით გამოყენებული ექნებოდა თეატრის პრიმიტიული ფორმები. ყეენობა ღრმა და დიდი შინაარსის მატარებელი იყო. საქართველოს ყეენობის ნამდვილი სოციალური ხასიათი ჰქონდა და იგი ხატავდა საქართველოს დაუცხრომელ ბრძოლას თავის დაუცხრომელ მტრებთან. ეს შინაარსით. ფორმის მხრივ ყეენობა უსათუოდ იყო გრანდიოზული თეატრალური ინსცენიროვკა. მხოლოდ სარჩული ამ სანახაობისა იყო წარმართული და მასში იხატებოდა მზიან გაზაფხულის გამარჯვება—ზამთარზე. ამის დადასტურებას ჩვენ იმაშიაც ვხედავთ, რომ ყეენობა იმართებოდა ყველიერის უქმეების დროს, მაშინ როდესაც ჩვენში გაზაფხულის პირი, დგება და მზეც უხვად იწყებს სხივების ფრქვევას.

ამრიგად, ყეენობა იძლეოდა ხალხურ დღესასწაულის დიდებულ სახეს და ამ სახეში იყო ჩვენი ეროვნულ თეატრის პირველ ყოფილი სახე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყეენობას, როგორც იტალიის კომედიანტებს ჰქონდა თავისი ნიღაბები. მაგალითად ბერიკას ნიღაბი ან და თვით ყეენის შავათ გამურვა თავის - თავად ატარებდა გრიმის და მასკის ხასიათს.

ქართულ ეროვნულ თეატრის სათავეები ნამდვილად მომდინარეობს ყეენობიდან და ეს ჩვენი ორიგინალური, ხალხური თეატრი, ეს ჩვენი ზაგმუკი, მოსპო ჩვენში მეფის მოადგილემ სწორედ იმ მიზნით, რა მიზნითაც მოსპობილი იქნა ძველად ზაგმუკი ბაბილონში.

ქართული თეატრის გენეზისი უნდა დავიწყოთ, ყეენობიდან, შემდეგ გადავიდეთ არჩილ მეფის „თეატზე“ ირაკლი მეფის თეატრზე, მის დროის დრამატურგებზე გ. ავალიშვილზე, დ. ჩოლოყაშვილზე და „ანტრეპრენიორზე“ გაბრიელ მაიორზე და მერე ისევ დაუბრუნდეთ გ. ერისთავის ხანას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლის ხანის თეატრი არ ატარებდა ორიგინალურ ხასიათს, რადგან რასინის და კორნელის ცრუ-კლასიკური რეპერტუარი და მით უმეტეს ამ ცრუ - კლასიკების დამამახინჯებელ სუმაროკოვის ქართულ ენაზე გადმოთრევა, არავითარ საბაბს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ირაკლი მეფის დროის თეატრი მშობლიურ იერს ატარებდა. ეს ეპოქა უნდა აღინიშნოს და საყურადღებოა მით, რომ დ. ჩოლოყაშვილი შეეცადა ჩვენში ემყნო მაღალი კულტურული სტილი, რაიც მოწმობს იმას, რომ მაშინ ჩვენი ცხოვრება საკმაო კულტურულ დონეზე მდგარა.

ეს ჩვენი კულტურული ცხოვრება გაგრძელდა მანამდე, ვიდრე საქართველოს შემოესეოდა აღამამედ-ხანის ჯარი, რომელმაც ააოხრა ქვეყანა და მოუსპო მას ყოველივე კულტურული ნასახი. ეს ჩვენ ისტორიაში აღინიშნა, საშინელ; 1795 წლის თარიღით.

ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულ კულტურის ჯებირები მაგრად შეიკვრა და მხოლოდ აქა იქ ღა გაისმოდა „მგოსანთა გედების“ ხმა და სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო, როდესაც ამ ხანის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს მოევლინა ისეთი დიდებული პოეტი, როგორიც იყო ნ. ბარათაშვილი, რომლის პესიმისტურმა მსოფლმხედველობამ საშინელი სევდით შეღება ქართულ პოეზიის არშიები. ნ. ბარათაშვილი მწარედ დასტიროდა ეროვნულ კულტურის განიავებას და თავის დროის ფუქსავატობას, და ზრუნავდა ამ კულტურის აღდგენას და პირველ რიგში კი ქართულ თეატრის აღდგენას. ბარათაშვილისთვის არამც თუ ქართული თეატრი, ქართული გაზეთიც, ქართული ჟურნალიც ოცნების ნაყოფს შეადგენდა და ყველაფერში გულგატეხილმა მაინც ქართულ სცენას დაუტია თავისი ნათარგმნი „იულიუს ტარენტელი“, რომლის სტრიქონებმა აატირა მაშინდელი ქართველი ქალები და რომლის დადგმის განხორციელებას, ბარათაშვილი, ისე ჩავიდა საფლავს, რომ არ ღირსებია. სასტიკმა ბედმა ისე ინება, რომ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან (1845 წ.), ხუთი წლის შემდეგ გ. ერისთავმა (1850 წ.) დაარსა მუდმივი ქართული თეატრი.

აქედან იწყება ქართული თეატრის ახალი ხანა და, წინააღმდეგ ბევრ სხვათა აზრისა, მე ვამბობ, რომ მიდის სულ ეროვნულ თეატრის ნიშნის ქვეშ. მართალია ბევრი მეტყვის: გ. ერისთავმა უცხოეთის დრამატურგების მიბაძვით დაიწყო და შიგ ეროვნული, ორიგინალური არაფერი იყოო. მართალია გ. ერისთავი სხვა დრამატურგებს ჰბაძავდა. მაგრამ ეს მიბაძვა მომაკვდინებელ ცოდოთ არ მიმაჩნია, რადგან გ. ერისთავმა იგი-

ვე გაიმეორა, რაც გაიმეორეს უცხოეთში სხვა დრამატურგებმა.

ცნობილია, რომ ძველად რომს არ ჰქონია თავისი საკუთარი ორიგინალური თეატრი და დიდებულმა რომმა არამც თუ მიბაძა საბერძნეთის დიდებულ თეატრს, პირიქით, მოიწვია საბერძნეთის თეატრის მსახიობები და დრამატურგები.

ფილოსოფოსმა სენეკამ თავისი ათი ტრაგედია დასწერა ევრიპიდეს მიბაძვით. სახელგანთქმულებმა პლავტუსმა და ტერენციმ თავისი კომედიები არისტოფანეს და ლავი ანდრონიკის მიბაძვით დასწერეს.

შემდეგ ხომ საფრანგეთში რასინმა და კორნელმა პირდაპირ გადმოიღეს საბერძნეთის კლასიკები, მხოლოდ თავიანთი ეპოქის პირიკები დახურეს ანტიურ პიესების პერსონაჟებს. რაღა შორს წავიდეთ! შილლერმა ყველა თავისი ტრაგედიები შექსპირის მიბაძვით დასწერა, მაგრამ შილლერი თავის დროზე გერმანიის თეატრისთვის ორიგინალური და დიდი მოვლენაც იყო.

საქმე მიბაძვაში არ არის. საქმე იმაშია, თუ მწერალი როგორ გადმოიღებს უცხოეთიდან ნასესხებ შინაარსს, ფორმებს და როგორ გამოიყენებს, როგორ შეუფარდებს ადგილობრივ პირობებს, ბუნებრივ თვისებებს, ხალხის ხასიათს და მის სულიერ მოთხოვნილებას.

ამ მხრივ გ. ერისთავი კარგი დრამატურგი გამოდ- თავის დროისა და „გაყრას". მაშინდელ ქართულ თეატრისთვის ორიგინალური იყო. დღეს, რასაკვირველია, არაფერია „გაყრა". მოკვდა ის ხანა, რა ხანასაც ეხებოდა დრამატურგი და მასთან ერთად მოკვდა ეს პიესაც. ასევე დაემართა ნიჭიერ ა. ცაგარელს, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ქართულ სცენის ოსტროვსკად, რომელმაც ბევრი კარგი პიესები მისცა ქართულ სცენას, რომელნიც უსათუოდ ორიგინალური იყო თავისი შინაარსით, თავისი ტიპებით და სახეებით, მაგრამ დღეს ეს ტიპები, ეს სახეები ისტორიას ლა ეკუთნის.

თავის დროზე დ. ერისთავის მიერ სარდუდან გადმოკეთებული „სამშობლოც" ორიგინალური და მშობლიური გამოდგა, მაგრამ ქართულ თეატრის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა „ღალატმა". სუმბათაშვილმა—იუჟინმა ქართულ თეატრს შეუქმნა ნამდვილი ეპოქა და ეროვნულ თეატრის მაჯისცემაც მკაფიოდ აღმოიხატა, ქართულმა სცენამ იპოვა პიესა, სადაც სასტიკი პროტესტი გაისმოდა ტირანიის წინააღმდეგ.

სულ სხვა საკითხია დღეს რაღაა „ღალატი"? დღეს, როგორც „ღალატი", ისე სხვა იმის მზგავსი პატრიოტული პიესები, ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ გაახუნა და თავისთავად ჩამოიყვანა სცენიდან, რადგან იმას, რასაც ეს პიესები ებრძოდნენ, ეროვნულ განთავისუფლებას და ტირანიის დამხობას, ოქტომბრის რევოლიუციამ სინამდვილეში განახორციელა და ყველა დაჩაგრულ ერებს ასწყვიტა მონობის ჯაჭვები.

ოქტომბრის რევოლიუციამ აღმოსავლეთის ერები დააყენა ახალი ქვეყნის სინათლის წინ. დღეს „ღალატის"-თანა შინაარსის პიესა აღარ დაიწერება და ჩვენი ახალი ესტეტიური შემეცნებაც მას აღარ მიიღებს და თუ მას ვინმე მიიღებს, ეს იქნება მლაშე პატრიოტობა, რომელსაც ჩვენ არ ვსაჭიროებთ.

მაგრამ დასაფარავი კი არ არის, ის რომ „ღალატმა" ქართველ ხალხის თვითგამორკვევაში და გათვითცნობიერებაში თავის დროზე, უდიდესი როლი ითამაშა და მისი ღირებულება მთლიანად წარსულშია. ჩვენ კი—მომავლისკენ ვიხედებით.

ოქტომბრის რევოლიუციამ, განთავისუფლებასთან ერთად რთული ამოცანები დაგვიყენა. ამოცანები ეროვნულ კულტურის შესაქმნელად. ზღვარი ეროვნულ სულისკვეთებისა, ჩვენი რასსიულ ბუნების სიცხადისა, თავისებურობისა და მისწრაფებისა. ოქტომბრის რევოლიუციას სრულიადაც არ წაუშლია და არც წაშლის, პირიქით! ოქტომბრის რევოლიუცია დაჟინებით გვიკარნახებს და მოგვიწოდებს ეროვნულ კულტურას აღორძინებისაკენ.

თეატრი, როგორც მძლავრი იარაღი სულიერ კულტურის ასამაღლებლად და განსავითარებლად, ახალი ცხოვრების საერთო ფერხულს ვერ ჩამორჩება და მას უნდა მისდიოს კვალ და კვალ.

ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა დღეს ქართულ თეატრში? გვაკმაყოფილებს თუ არა დღეს ქართული თეატრი? არის თუ არა იგი ნამდვილი ეროვნული თეატრი?

ამის შესახებ შემდეგ.

ვახტანგ გარრიკი.

# პლეხანოვის სახელობის თეატრში

კვირას, 15 იანვარს პლეხანოვის სახელობის თეატრში წარმოდგენილი იქნა ბზისშვილის ხუთ მოქმედებიანი დრამა „ჯალათი მამა". ეს პიესა 1905 წლის დამარცხებულ რევოლიუციის ზოგიერთ მოღვაწეთა ტრაღიკული მდგომარეობას გვიხატავს. წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა. ყველა მოთამაშენი უაღრესად სინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ როლებს, მაგრამ მათ შორის აღსანიშნავია მოხუცი სონა გოგაშვილი, რომელიც 25 წელიწადია, რაც მუშათა უბნების თეატრებში მოღვაწეობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ავად იყო და ბოლოს ექიმის გამოწვევაც კი შეიქნა მისთვის საჭირო, ის მაინც ჩინებულად ასრულებდა დაკისრებულ როლს.

ამხ. სონა გოგაშვილი როგორც ვიცით, ერთობ ხელმოკლედ სცხოვრობს. ის თავის საპატიო მოღვაწეობისათვის თვეში ოთხ თუმანს ძლივს იღებს. ამ ხუთიოდე თვის წინედ მისთვის იუბილეს გადახდის შესახებაც დაიწყეს ლაპარაკი და ლენინის უბნის ქალთა განყოფილებამ დადგენილებაც კი გამოიტანა ამის შესახებ. ეს დადგენილება კლუბის გამგეობის მიერ გაგზავნილი იქნა საიუბილეო კომისიაში, მაგრამ იუბილეს შესახებ ჯერაც არაფერი არ ისმის.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მუშათა უბნების უანგარო მოღვაწე სონა გოგაშვილის ხანგრძლივი და დიდად ნაყოფიერი მუშაობა კულტურულ ფრონტზე უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული. დარწმუნებული ვართ მისი იუბილეს შესახებ დადგენილება მალე სისრულეში იქნება მოყვანილი და მით ლენინის უბნის მცხოვრებლებს შეძლება მიეცემათ მადლობის გრძნობით, გაუთბონ მოხუცი გული მას, ვინც ამ უბნის პროლეტარიატის შეგნებასა და ზნეობრივ—გონებრივ წინსვლას მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უანგაროთ ემსახურება.

ლ. კუპრაშვილი.

—:—

## შეცდომის გასწორება

ჟურნალის მე-51 ნომერში მოთავსებულ პატარა პოემაში სათაურით, „9 იანვარი", დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომები: პირველი სვეტის ზევიდან მეხუთმეტე სტრიქონს უნდა დაემატოს ცალკე სტრიქონათ შემდეგი: **„ჩუმათ ამბობს და ჩურჩულში"**. მეორე სვეტის მე-14 სტრიქონში **ძველის** მაგივრად უნდა იყოს **„გველის"**, მე-18 სტრიქონში **ხალხის** მაგივრად, **ხალხი**, მე-26 სტრიქონში **ბრძოლის** მაგივრად **ბროლის**, ბოლოდან მეხუთე სტრიქონი დაბეჭდილია: **სისხლის ღვარი ქუჩებს ღვენთავს — სევდით განარიდებს**; უნდა იყოს: **სისხლის ღვარი ქუჩებს ღვენთავს—ქუჩებს სევდით განარიდებს.**

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე 6-ე სტამბა. კამოს ქუჩა № 63.